HELLO! GEORGIA

#006 • იანვარი 2017 • 4.00₾

ISSN 2449-2590

FESTIVE ISSUE

HOLIDAY Special

+370

საზეიმო
რჩევა

VICTORIA'S SECRET FASHION SHOW

ირინა შეიკი

ბრედლი კუპერისგან
შვილს ელოდება

ექსკლუზივი
საფრანგეთიდან

მამუკა
გორგოძე

საქართველოს საუკეთესო
სპორტსმენის ცხოვრება
მოედანს მიღმა

BOULEVARD
HOTEL BAKU

818-ნომრიანი სასტუმრო კასპიის ზღვის ულამაზესი ხედით ნიუ-იორკულ ბარს, ბაქოს ბულვარზე გამავალ ტერასას, თევზეულის რესტორანს, უზარმაზარ საკონფერენციო სივრცეს, ბუხარს, თვალწარმტაც ბაღს, 24-საათიან ლაუნჯს, გამაჯანსაღებელ ცენტრსა და სპას აერთიანებს

Khagani Rustamov Street 4C, AZ1010 **BAKU**, **AZERBAIJAN**; +994 12 310 0010; **E-mail**: info.boulevard@absheronhotelgroup.com

taxify

- **taxify**-ს კორპორაციული სერვისი თანამედროვე ბიზნესისთვის
- აკონტროლეთ კომპანიის დანახარჯები
- გადაიხადეთ თვეში ერთხელ ინვოისის საფუძველზე
- მიიღეთ ქვითარი ელექტრონულ ფოსტაზე

taxify
საჭირო დროს
საჭირო ადგილას
0322 422 714
Olly@taxify.eu
fb.com/TaxifyGeorgia
Available on the App Store
Get it on Google play
Download with Windows Store
CONFIRM ADDRESS

რედაქტორის წერილი

გილოცავთ! 2017-მა ჩვენს ცხოვრებაში შემოაბიჯა! დარწმუნებული ვარ, მომდევნო 365 დღე თავს საუკეთესო ამბებითა და დაუვიწყარი ემოციებით დაგვამახსოვრებს.

ახალი ნომრის გაცნობამდე, მინდა კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა იმისათვის, რომ ჩვენს ჟურნალს ირჩევთ. მაქსიმალურად ვეცდებით საინტერესო ამბებით, სიურპრიზებითა და სასიამოვნო სიახლეებით წელსაც მოგამარაგოთ.

ახალი წლის პირველი ნომრის მთავარი გმირი **მამუკა გორგოძეა**, რომელიც **HELLO!**-ს ფურცლებზე პირდაპირ საფრანგეთიდან აღმოჩნდა. საკულტო სპორტსმენი ჩვენს მკითხველს ოჯახურ ცხოვრებაზე, საახალწლო ტრადიციებსა და სამშობლოსადმი დამოკიდებულებაზე ესაუბრება.

ამავე ნომრის სტუმარია საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული **მარიამ მამადაშვილი**, რომელიც თავის პოზიტივსა და სამომავლო გეგმებს დაუზარებლად გვიზიარებს. საინტერესო ამბებს გვიყვებიან **ჯაბა დიასამიძე**, **სალომე კორკოტაშვილი** და **ნიკა კოჩაროვი**.

როგორც ყოველთვის, **HELLO!** სამეფო ოჯახების კულისებში აღმოჩნდა და თქვენთვის მრავალფეროვანი საახალწლო მასალა მოამზადა. დღესასწაულზე საუბრობს **რობი უილიამსიც**, რომელიც ჟურნალის ბოლო გვერდზე გელოდებათ. რასაკვირველია, ეს ნომერი იმაზეც ზრუნავს, რომ თქვენს ძვირფას სტუმრებს შესაფერისად გაუმასპინძლდეთ და საუცხოო გემოვნებით გაწყობილი სუფრა დაახვედროთ.

საახალწლო აურზაური, სადღესასწაულო მოდური ტენდენციები და გარდერობის განახლება წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენისთვის – Lifestyle-ის რუბრიკა მთლიანად საახალწლო მზადებას ეძღვნება. თვის მოდურ ტენდენციებთან ერთად, გაგაცნობთ ოთხი სრულიად განსხვავებული სტილის სადღესასწაულო LOOK-სა და სპეციალურ რუბრიკას აქსესუარებზე. მოგცემთ რჩევებს საჩუქრებთან დაკავშირებით და გაგაცნობთ როგორ შეიძინოთ სწრაფად სასურველი ფიზიკური ფორმა საახალწლო წვეულებებისთვის.

მოკლედ, დღესასწაული და ჟურნალი, რომელიც ამ დღესასწაულს გაგილამაზებთ, თქვენს ხელშია! ისღა დაგრჩენიათ გაიღიმოთ, 2017 წლის პირველივე დღეები სასიამოვნო ემოციებით დაიწყოთ და გარშემო ის ადამიანები შემოიკრიბოთ, ვისაც ბედნიერებას გაუზიარებთ.

გისურვებთ, ყოველდღე გქონდეთ ღიმილის მიზეზი!..

ნინო იოსელიანი
მთავარი რედაქტორი

-50% - მდე ფასდაკლება

კოსმეტიკის რჩეულ ფრანგულ ბრენდებზე

15 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით

ჯიპისი GPC

HELLO! GEORGIA
#006 • იანვარი • 2017

სარჩევი

ვარსკვლავური ისტორიები

10 **სამეფო ოჯახების** სადღესასწაულო ციებ-ცხელება

26 **მარიამ მამადაშვილი** – ცხოვრება გამარჯვების შემდეგ

30 **ქართველი ვარსკვლავების რჩევები** ლამაზი სადღესასწაულო სუფრის გასაწყობად

32 **მამუკა გორგოძე** ოჯახითა და საახალწლო განწყობით

48 **ქეროლაინ შოიფელეს** ჯადოსნური სახლი შვეიცარიაში

58 **ჰაბა დიასამიძე** მუზების, კოლექციებისა და მოგზაურობის შესახებ

მუდმივი რუბრიკები

44 **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! გადაღება!

46 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

64 **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

130 **HALF HOUR** – რობი უილიამსი

დასაწ. 73 გვ.-დან

lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
კულინარია

BNO
თავდაჯერებული
ქალბატონების
არჩევანი!
მაღაზია IXXS
ალ. ყაზბეგის გამზ. 24
SHOPING@AXIS
ტელ.: 032 231 25 33
IXXS

საახალწლო მისალოცი ბარათები მსოფლიოს სამეფო ოჯახებისგან

გასაკვირი არ არის, რომ დღესასწაულების პერიოდში მსოფლიოს სამეფო ოჯახებიდან ყველაზე ბევრი მისალოცი ბარათი იგზავნება. მხოლოდ დედოფალი ელისაბედი 800 მისალოც ბარათს წერს და სამზადისს ჯერ კიდევ საზაფხულო არდადეგების დროს იწყებს. მისი უდიდებულესობა ბიძაშვილებისა და მამიდაშვილებისთვის გაგზავნილ წერილებზე ხელს ლილიბეტის სახელით აწერს – ეს მისი ბავშვობისდროინდელი ზედმეტ-სახელია; მეგობრებისთვის ელისაბედია, დანარჩენებისთვის კი – დიდი ბრიტანეთის დედოფალი. მისალოცი ბარათების გაგზავნის ტრადიციას მისი აღმატებულება ბავშვობიდან იცავს. ამ მხრივ გამონაკლისები არც პრინცი ჩარლზი და ესპანეთის მეფე ფილიპე არიან. მათი მილოცვები სავსეა ბედნიერი ოჯახური ფოტოებით, თბილი ემოციებითა და სადღესასწაულო განწყობით.

ავერსი გილოცავთ შობა-ახალ წელს

გთავაზობთ
10 დეკემბრიდან 31 იანვრამდე
10%-35% ფასდაკლებას
ავერსის ექსკლუზიურ ბრენდებზე

Maternea
Cameleo
CHIKOVITA
bebble
MESAUDA MILANO
Ellaro
Envita
PARIS Evoluderm Shower Gel
Dr. Fischer
AHAVA
Lanofil

ავერსი AVERSI

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

www.aversi.ge

☎ 2-900-800

მეფური დღესასწაული ემოციური მილოცვებით იწყება

საშობაო დღესასწაული ის იშვიათი გამონაკლისია, როცა ბრიტანეთის დედოფალი (ზევით) ხალხს საკუთარ გრძნობებს უზიარებს. სწორედ ამის მაგალითია 1997 წლის საჯარო გამოსვლა, როცა ელისაბედმა ემოციურად გაიხსენა პრინცესა დაიანას სიკვდილი. ამ დღეებში გულწრფელ სიტყვებს მსოფლიოს სხვა მონარქებიც არ იშურებენ – ბელგიის მეფე ფილიპი (მარჯვნივ) მილოცვას ფრანგულ, ნიდერლანდურ და გერმანულ ენებზე წერს, ლუქსემბურგის ჰერცოგი ჰენრი კი (ქვევით) კამერების წინ ყველაზე ბუნებრივად საუბრობს.

მეფის სიტყვა

ხალხთან საუბარი ბრიტანული სამეფო ოჯახისთვის უცხო ნამდვილად არ არის. ჯერ კიდევ 1932 წელს მეფე ჯორჯ V-მ მოქალაქეებს ემოციური სიტყვით მიმართა და კავშირის საშუალებად BBC-ის რადიოსადგური გამოიყენა. ამ გზით მონარქმა ხმა 20 მილიონამდე ადამიანს მიაწვდინა. რადიარდ კიპლინგის მიერ დაწერილი სიტყვა ასე იწყებოდა: „ახლა ჩემი სახლიდან გესაუბრებით და თითოეულ თქვენგანს მთელი გულით მოგმართავთ“. მას შემდეგ „მეფის სიტყვის“ ტრადიციას უწყვეტი ხასიათი აქვს. ელისაბედ II-მ – მეფე ჯორჯ V-ის შვილიშვილმა, საახალწლო სიტყვით მოსახლეობას უკვე 63-ედ მიმართა.

იტალიური ბრენდები Leocrema და Mantovani
გილოცავთ ახალ წელს!
გაუკეთეთ საახალწლო საჩუქარი
თქვენს საყვარელ ადამიანს
არგანის ზეთი
100% ნატურალური
კომპონენტი
სიმსუბუქისა და სიამოვნების იდეალური
კომბინაცია იმისათვის, რომ თქვენმა კანმა და
თმამ ჯანსაღი ფერი დაიბრუნოს და არგანის
ზეთის ყველა უპირატესობა შეიგრძნოს
არგანის უნიკალური თვისებების ზეთი მდიდარია ცხიმოვანი
მუავებითა და ვიტამინებით. LEOCREMA, MANTOVANI საუკეთესოა
კანის, ფრჩხილებისა და თმის მოვლისათვის
Leocrema
CREMA MANI
all'Olio di Argan
Olio di Argan
100% BIOLOGICO
CREMA FLUIDA
all'Olio di Argan
Olio di Argan
100% BIOLOGICO
LIPSTICK
all'Olio di Argan
SIERO DI BELLEZZA
BEAUTY SERUM
PERFECT SKIN
Argan Oil
CREMA VISO IDRATANTE
MOISTURIZING FACE CREAM
DAILY & EVERYONE
Argan Oil
CREMA VISO RIGENERANTE
REGENERATING FACE CREAM
NIGHT & DAY
Argan Oil
CREMA VISO ANTI-AGE
ANTI-AGE FACE CREAM
MULTI ACTION
Argan Oil
mantovani
Shampoo NEUTRO
capelli secchi
Argan Biologico
Sapone Liquido
NEUTRO
dermoprotettivo
FORMULA IPOALLERGENICA
NICKEL TESTED
SENZA PARABENI
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
GCC LTD
ნიკო ბურის ქ. 16
032 254 16 94

დედოფალ ელისაბედ II-ს საშობაო დღესასწაულის აღნიშვნა ინგლისის აღმოსავლეთში მდებარე სანდრინგემის სასახლეში უყვარს. მონარქი იქ თებერვლამდე რჩება ხოლმე და არც ნაძვის ხის აღებას ჩქარობს.

მეფური ტრადიციები

როგორ აღნიშნავენ საახალწლო დღესასწაულს ევროპული სამეფო ოჯახები

ბოლო პერიოდის განმავლობაში ევროპულ სამეფო ოჯახებს ბევრი ახალი წევრი შეემატა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებული სიხარულის ფონზე ჩაივლის.

შვილიშვილებსა და შვილთაშვილებთან ერთად დედოფალი ელისაბედი 30-მდე ნათესავს უმასპინძლებს და დღესასწაულს ძველებურად აღნიშნავს. ზეიმი იქნება შვედეთის სამეფო ოჯახშიც, სადაც წელს ორი ბავშვი გაჩნდა. მონაკოში კი, სადაც პრინცესა გრეისმა საშობაო ტრადიციები თავისებურად გადაახალისა, მთელი ყურადღება 2 წლის ტყუპებზე – გაბრიელასა და ჟაკზე იქნება გადატანილი.

HELLO! სამეფო ოჯახების უფროს და უმცროს წევრებსა და მათ საახალწლო გეგმებს გაგაცნობთ...

დიდი ბრიტანეთი

შობის წინა ღამეს დედოფლის შვილიშვილები და შვილთაშვილები ნაძვის ხის მორთვას საბოლოოდ ასრულებენ. საჩუქრების გახსნა საღამოს იწყება. ყველა შეფუთული ყუთი ცნობილ RED DRAWING ROOM-შია შეტანილი. გაგიკვირდებათ, მაგრამ ბრიტანელ მონარქებს ძვირფასი საჩუქრები არ უყვართ. ერთადერთი, ვინც სამეფო ოჯახის წევრებს უძვირფასესი საჩუქრები დაურიგა, პრინცესა დაიანა იყო.

რასაკვირველია, მისი უდიდებულესობის სიაში მხოლოდ ოჯახის წევრები არ შედიან. ბუკინგემის სასახლის 550-ვე მსახური განსაკუთრებულ ძღვენს იღებს – თითოეული მათგანი მწვრივში დგება და საკუთარი სახელის გამოცხადებას ელოდება, რის შემდეგაც დედოფლისგან პირადად საჩუქრდება.

17 დეკემბერს ელისაბედი აღმოსავლეთში, სანდრინგემის სასახლისკენ მიემგზავრება. დანარჩენი სტუმრები იქ 23 დეკემბრისთვის იკრიბებიან. ჩვეულებისამებრ, პრინცი ჩარლზი ყველაზე ბოლოს მიდის ხოლმე.

24 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საახალწლო მეჯლისი იწყება. სანთლებით გაფორმე- ▶

გარდა შვილიშვილებისა და შვილთაშვილების განებივრებისა, დედოფალს არც სხვა ბავშვები ავიწყდება და მათ შობის დილას, ადგილობრივ ეკლესიაში მასპინძლობს.

SWEDEN

შვედეთის პრინცესა ვიქტორია და პრინცი დანიელი საოჯახო საქმიანობაში ერთვებიან და პატარა ესტელთან ერთად სახალისო ფორმის ორცხობილებს აცხობენ.

THE NETHERLANDS

ბულ ვახშამზე ქალბატონები საღამოს კაბებითა და ძვირფასი სამკაულებით იწონებენ თავს, მამაკაცებს კი პერანგზე მორგებული შავი ბაფთები ამშვენებთ.

25 დეკემბერს სამეფო ოჯახში ინგლისური საუზმის დრო დგება, რასაც ეკლესიაში წასვლა და ლოცვებზე დასწრება მოსდევს. დღის 3 საათზე დედოფალი საჯარო სიტყვით გამოდის. ამის შემდეგ კი მომსახურე პერსონალი ისვენებს და სამეფო ოჯახის წევრები თავად იწყებენ ვახშამზე ზრუნვას.

ბელგია

ბელგიელი მონარქების საყვარელი ტრადიცია პალე-როიალში გამართული საახალწლო კონცერტია. საშობაო რუტინის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას მეფე ფილიპის საჯარო სიტყვა აგვირგვინებს. მისი საუბარი სინქრონულად ითარგმნება სამ ენაზე – ფრანგულზე, ნიდერლანდურსა და გერმანულზე.

ნიდერლანდები

ნიდერლანდებში საშობაო დღესასწაული ნაადრევად იწყება. აქ თოვლის ბაბუა, რომელსაც „სინტერკლაასს“ ეძახიან, ნოემბერში ჩამოდის. მის დასახვედრად სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიც იკრიბებიან.

დედოფალი მაქსიმა და მეფე ვილემ-ალექსანდერი, სამ პრინცესასთან ერთად, ნავით ჩამოხულ მოხუცს ეგებებიან. პატარებმა იციან, რომ მხოლოდ ისინი დასაჩუქრდებიან, ვინც მთელი წლის განმავლობაში სამაგალითოდ იქცეოდნენ.

უკვე რამდენიმე წელია, ნიდერლანდელი მონარქები ახალ წელს მაქსიმას მშობლიურ მხარეში, არგენტინაში აღნიშნავენ და საახალწლო განწყობას ჩილეს საზღვართან ახლოს გაშენებულ მამულში იქმნიან.

შვედეთი

შვედეთის მონარქებს უსაყვარლესი საახალწლო ტრადიცია აქვთ – ისინი ყოველ წელს აქვეყნებენ ვიდეოს, სადაც ასახულია როგორ აცხობენ ნამცხვრებს და როგორ რთავენ ნაძვის ხეს. 2014 წელს გამოქვეყნებულ ჩანაწერში პრინცესა ვიქტორია და პრინცი დანიელი გულშემატკივრებს დიდ მადლობას უხდიან და კეთილ სურვილებს უზიარებენ. ამ დროს კი პატარა ესტელი, კადრში იჭრება და მათ სიტყვებს ექოსავით იმეორებს.

სადღესასწაულო ღამის წინა დღეს სამეფო ოჯახი დედოფალ სილვიას დაბადების დღესაც აღნიშნავს. რაც შეეხება საახალწლო სუფრას, შვედეთში აუცილებლად აცხობენ ხილის ნამცხვარს, რომელსაც Weihnachtsstollen-ს უწოდებენ. მენიუში უსათუოდ მოხვდება თევზეულიც.

ნორვეგია

მეფე ჰარალდი და დედოფალი სონია შობას ოსლოში, 1907 წელს აშენებულ მამულში ატარებენ. მისი სახელწოდება Kongsseteren-ითაა („მეფის ადგილი“) ცნობი- ▶

BELGIUM

ბელგიაში საშობაო დღესასწაული პალე-როიალში გამართული კონცერტით იწყება. ბრიუსელში მეფე ფილიპი და დედოფალი მატილდაც ჩადიან და სანახაობას ოთხ შვილთან ერთად ესწრებიან.

LUXEMBURG

ლუქსემბურგის ჰერცოგი ჰენრი მზად არის მაჯები დაიკაპიწოს და ოჯახის წევრებისთვის საშობაო ვახშამი მოამზადოს, ისინი შობას შვეიცარიულ შალეში აღნიშნავენ

ლუქსემბურგის მეფე და მისი კუბელი მეუღლე - მარია ტერესა ოჯახის წევრებს შატო-ბერგში უმასპინძლდებიან. ეს ბავშვობისდროინდელი ადგილი საახალწლოდ ყველაზე ლამაზად ირთვება. აღსანიშნავია, რომ ჰენრი მალე ოთხგზის ბაბუა გახდება. ეს განსაკუთრებულად ახარებს ბებია მარია ტერესას, რომელიც ამბობს: „ბავშვები სახლს სიხარულითა და სიცოცხლით ავსებენ“.

MONACO

პრინცი ალბერტი და მისი მეუღლე შარლენი სასახლეში ყოველწლიურად უმასპინძლდებიან მზრუნველობაამოკლებულ ბავშვებს.

SPAIN



ლი. საჩუქრები თავად სანტა-კლაუსს მოაქვს და პატარა გნომების დახმარებით ნაძვის ხის ქვეშ ალაგებს.

აღსანიშნავია, რომ ნორვეგია დიდ ბრიტანეთს ყოველწლიურად უგზავნის უზარმაზარ ნაძვის ხეს, რომელიც ტრაფალგარის მოედანზე საპატიო ადგილს იკავებს. ეს ჟესტი მადლიერებას გამოხატავს იმ დახმარებისთვის, რომელიც ბრიტანეთმა ქვეყანას მეორე მსოფლიო ომის დროს გაუწია.

ესპანეთი

მეფე ფელიპე VI და დედოფალი ლეტიცია შობას ესპანური ტრადიციებისამებრ აღნიშნავენ. მათი ქალიშვილები 25 დეკემბერს საჩუქრების მოლოდინით იღვიძებენ. საღამოს სარსუელას სასახლეში საშობაო ვახშამი იმართება, რომელსაც მეფე ხუან კარლოსი და დედოფალი სოფიაც ესწრებიან.

რაც შეეხება ახალი წლის ღამეს, დღესასწაულის აღსანიშნად დედოფალი სოფია საბერძნეთში მიფრინავს. იქ მისი ძმა, მეფე კონსტანტინე ცხოვრობს, რომელიც ქვეყანაში ლონდონიდან განდევნის შემდეგ ჩავიდა.

ესპანეთში 5 იანვარიც დღესასწაულია. ბავშვები საჩუქრებს სამი მეფისგან იღებენ და აუცილებლად მიირთმევენ ე.წ. როსკონს – კრემიან ბრიოშებს, რომელთაგან ერთ-ერთში ყოველთვის სიურპრიზი იმალება.

დანია

დედოფალ მარგრეტეს ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სამეფო კლანია. მისი მეუღლე – პრინცი ჰენრიკი – წარმოშობით ფრანგია, მათი რძალი კი – პრინცესა მერი – ავსტრალიელი. საინტერესოა, რომ მერის და – დედოფალი ანა-მარი საბერძნეთის ყოფილ მეფეზეა გათხოვილი და მისგან ხუთი შვილიც ჰყავს. მოკლედ, დანიური შობა საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნება.

სადღესასწაულო ციებ-ცხელება 23 დეკემბერს იწყება. ამ დღეს საჩუქრები იფუთება და ნაძვის ხე ირთვება. 24 დეკემბრის საღამოს ბავშვები ბრინჯის პუდინგს ამზადებენ და ძილის წინ სანტა-კლაუსს უტოვებენ.

ვახშამს დედოფალი ტრადიციული ტკბილეულით – RISALAMANDE-თი ხსნის. ეს ბრინჯის პუდინგია, რომელ-საც გულში ნუში და ხილი აქვს დამატებული (რეცეპტის გაცნობა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც შეგიძლიათ). ამის შემდეგ სხვა ტრადიციულ კერძებს – შემწვარ იხვს, ღორის ხორცს, ირმის ხორცს, შემწვარ კარტოფილს, წითელი კომბოსტოსა და კიტრის სალათს აგემოვნებენ. დესერტის მენიუ ცნობილ ვაშლის ნამცხვარსაც მოიცავს.

სკანდინავიურ ქვეყნებში სადღესასწაულო პერიოდს ერთად აღნიშნავენ სამეფო ოჯახის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები (მარჯვნივ და ქვევით). ნორვეგიისა და ესპანეთის პატარა პრინცესები (ქვევით) ჯადოსნურ სეზონს უფრო მეტად ალამაზებენ.

რაც შეეხება ახალ წელს, მთავარი მოვლენა დედოფლის საჯარო სიტყვაა, რომელიც სტარტს საღამოს 6 საათზე იღებს. ამის შემდეგ ფეიერვერკი იწყება და დანიელები ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად იკრიბებიან.

მონაკო

ჯერ კიდევ 1950-იან წლებში პრინცესა გრეისს საოცარი იდეა დაებადა. მან გადაწყვიტა, მზრუნველობამოკლებული ბავშვები სამეფო წვეულებაზე დაეპატიჟებინა და ჯადოსნური ცხელი შოკოლადით გამასპინძლებოდა. რასაკვირველია, პატარები საახალწლო საჩუქრებსაც მიიღებდნენ. მას შემდეგ ეს ამბავი ტრადიციად იქცა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრინცი ალბერტი სასახლეში წელსაც უამრავ ბავშვს გააბედნიერებს.

ტექსტი: MULENGA HORNSBY
ფოტო: GETTY IMAGES

ვარსკვლავური პროგნოზები

რას ველოდით 2017 წელს

ROSIE HUNTINGTONWHITELEY & JASON STATHAM

2017 წელს მოსაწყენად ნამდვილად არ გვეცლება. შემდეგი 12 თვის კალენდარი ვარსკვლავური ქორწილებით, სამეფო ღონისძიებებით და ჰოლივუდური აურზაურითაა გადატვირთული. ნაღებ საზოგადოებაში ყველაზე მეტად კეიტ მიდლტონის უმცროსი დის – პიპას ქორწილს ელიან. არანაკლები აჟიოტაჟია მირანდა კერისა და მისი საქმროს – ევან შპიგელის გარშემო, თუმცა არცერთ წყვილს ქორწილის ზუსტი თარიღი ჯერ არ დაუთქვამს. 2017 წელს დედოფალი ელისაბედი და პრინცი ფილიპი სამეფო ქორწინების 70 წლისთავს იზეიმებენ, შერილ კოული კი პირველად გახდება დედა. სიახლეებია მონაკოს სამეფო ოჯახშიც – პრინცესა კაროლინა სულ მალე მეოთხედ გახდება ბებია. თუმცა ვერცერთი ვარსკვლავური თუ Royal-ნიუსი ვერ მოახერხებს გადაფაროს იანვარში დაგეგმილი დონალდ ტრამპის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ინაუგურაციის ცერემონიალი.

NATALIE PORTMAN

MARION COTILLARD

PINK

KYLIE MINOGUE & JOSHUA SASSE

MILEY CYRUS

MIRANDA KERR & EVAN SPIEGEL

WEDDINGS & BABIES

მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ხელისმომკიდე – **პიპა მიდლტონი**, ამჯერად თავად მოირგებს დედოფლის ამპლუას და სავარაუდოდ მის დას – კეიტსაც დაჩრდილავს. პიპას ქორწილს დიდი ალბათობით **პრინცი ჰარი** და მისი ახალი მეგობარი გოგონა – მეგანიც დაესწრებიან. თუ ჭორებს დავუჯერებთ, ოფიციალურ განცხადებას შემდეგი სამეფო ქორწილის შესახებ სწორედ ამ წყვილისგან უნდა ველოდოთ.

დაქორწინების თემა მოდელებშიც საკმაოდ აქტუალურია – **მირანდა კერისთან** ერთად, წელს **როზი ჰანტინგტონ უაიტლი** და **ჯეისონ სტეტჰემიც** გეგმავენ დაოჯახებას. მათ ქორწილში სიძის ახლო მეგობრებს – რეჟისორ **გაი რიჩისა** და მსახიობ **სილვესტერ სტალონესაც** ვიხილავთ. სავარაუდოდ, 2017 წელი ბედნიერების მომტანი იქნება **კაილი მინოუგისა** და **მაილი საირუსისთვის** – ორივე ვარსკვლავი მათ საყვარელ ადამიანზეა დანიშნული და მნიშვნელოვან დღეს გეგმავს. ახალი წელი **ირინა შეიკისა** და **ბრედლი კუპერის** ცხოვრებასაც თავდაყირა დააყენებს – მოდელისა და მსახიობის წყვილი პირველ შვილს ელოდება. მათ მსგავსად, **ნატალი პორტმანი, მერიონ კოტიარი** და **PINK**-იც კიდევ ერთხელ გახდებიან მშობლები.

MEGHAN MARKLE



DONALD TRUMP

20 იანვარს დონალდ ტრამპი ქვეყნის მმართველობას ოფიციალურად გადაიბარებს

MILANIA TRUMP

ROYAL & WORLD EVENTS

20 ნოემბერს **დედოფალ ელისაბედისა** და **პრინც ფილიპის** ქორწინებიდან 70 წელი შესრულდება. სამეფო ოჯახი ამ დღის აღსანიშნავად ვესტმინსტერის საბატოში შეიკრიბება. მიღებას **კემბრიჯის ჰერცოგსა** და **ჰერცოგინიასთან** ერთად, მათი შვილები – **პრინცი ჯორჯი** და **პატარა შარლოტაც** დაესწრებიან. ბრიტანეთის სამეფო ოჯახი წელს ტრადიციულად კანადასაც ეწვევა.

2017 დღესასწაულებით აღსავსე წელი იქნება დანიაშიც, სადაც **დედოფალი მარგარეტი** და **პრინცი ჰენრიკი** ასევე ქორწინების 50 წლისთავს იზეიმებენ. სამეფო წყვილს ორი შვილი და 8 შვილიშვილი ჰყავს.

დიდი აურზაური იქნება აშშ-შიც – 20 იანვარს **დონალდ ტრამპი** ქვეყნის მმართველობას ოფიციალურად გადაიბარებს და თეთრ სახლში დაიდებს ბინას. **მელანია ტრამპი** კი, ამერიკის პირველი ლედი გახდება.

2017 საკმაოდ ემოციური წლისთავების წელიც აღმოჩნდა, **ელვის პრესლის** გარდაცვალებიდან 40, ხოლო პრინცესა **დაიანას** ტრაგიკული დაღუპვიდან 20 წელი შესრულდება.

PRINCESS DIANA

QUEEN ELIZABETH II
& PRINCE PHILIP



ELVIS
PRESLEY

QUEEN MARGRETHE
& PRINCE HENRIK

დღესასწაულებით აღსავსე წელი
იქნება დანიაშიც, სადაც
დედოფალი მარგარეტი და პრინცი
ჰენრიკი ასევე ქორწინების
50 წლისთავს იზეიმებენ

JULIA ROBERTS

BLAKE LIVELY

NICOLE KIDMAN

FILM, FASHION & BIRTHDAYS

2017 წლის დეკემბერში კინოეკრანებზე „**ვარსკვლავური ომების**“ განახლებული ტრილოგიის მეორე ნაწილი გამოვა. ფილმს, **ლუპიტა ნიონგ’ოს, კერი ფიშერისა** და **ბენისიო დელ ტოროს** მონაწილეობით, მსოფლიო მასშტაბით ფანების აურაცხელი არმია ელის.

კოსმოსიდან ისევ დედამიწაზე დავბრუნდეთ – წელს **ვიქტორია** და **დევის ბექჰემების** უფროსი ვაჟი სრულწლოვანი გახდება. 18 წლის ბრუკლინმა ბავშვობიდან აირჩია მშობლების ვარსკვლავურ კვალს გაჰყოლოდა და უკვე სცადა ბედი მოდელობასა და ფოტოგრაფობაში.

პოპულარული მშობლის თემა რომ გავაგრძელოთ, წელს **მადონას ქალიშვილი ლურდესიც** ამერიკულ სრულწლოვანებას მიაღწევს – დამწყებმა მოდელმა ბოლო დროს რამდენიმე დიზაინერის სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა და მომავალშიც სავარაუდოდ მოდის სფეროში განაგრძობს საქმიანობას.

2017 ნამდვილად იქნება მრგვალი თარიღებისა და ვარსკვლავური წვეულებების წელი – ჰოლივუდელი ლამაზმანი **ბლეიკ ლაივლი** 30 წლის სრულდება, **ნიკოლ კიდმანი** და **ჯულია რობერტსი** კი – 50-ის. ლეგენდარული მსახიობი **ჯეკ ნიკოლსონი** 80 წლის იუბილეს იზეიმებს, **შაკირა** კი ტორტზე 40 სანთელს ჩააქრობს.

გელოდებით საახალწლო კოლექციით და ბევრი სიურპრიზით!!!

მარშალ გელოვანის გამზ. 36
ტელ: **032 224 04 14**
JYSK Georgia

საბავშვო ევროვიზია
2016-ის გამარჯვებული

მარიამ მამადაშვილი

კონკურსზე, ემოციებსა და
მომავალ გეგმებზე

„კონცერტის შემდეგ ჩემს FACEBOOK-გვერდზე შევედი და გაკვირვებული დავრჩი – ზუსტად 635 ადამიანს უნდოდა ჩემთან დამეგობრება...“

მარიამ მამადაშვილი საბავშვო ევროვიზია 2016-ის გამარჯვებულია. მან 17 ქვეყნის წარმომადგენლიდან ქულების მაქსიმალური რაოდენობა – 239 ქულა მოიპოვა. რიგით მე-14 საბავშვო ევროვიზიის კონკურსი მალტას დედაქალაქ ვალეტაში გაიმართა და მისი პირდაპირი ტრანსლაცია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განახორციელა, რომელიც ფლობს ამ პროექტის ექსკლუზივს. მარიამი კონკურსზე კომპოზიტორ გიგა კუხიანიძის სიმღერით „მზეო“ წარდგა. ჟურნალი HELLO! გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუსა და საახალწლო ფოტოსესიას ახალგაზრდა და ნიჭიერ ვარსკვლავ მარიამ მამადაშვილთან.

მარიამი 4 წლიდან მღერის, იყო „ბზიკებისტუდიო“-ს წევრი, ასევე სწავლობდა ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამუსიკო სკოლაში, ფორტეპიანოს განხრით. მონაწილეობდა სხვადასხვა კონცერტსა და სატელევიზიო შოუში. ერთი წლის წინ მარიამის ოჯახი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. 2015 წლის სექტემბრიდან კი მარიამი ირიცხება მუსიკალურ სასწავლებელში BROADWAY METHOD ACADEMY, სადაც ვოკალს, ცეკვასა და სამსახიობო ოსტატობას ეუფლება.

მარიამ, უპირველესად გილოცავთ ამ გამარჯვებას! როგორი ემოცია გქონდათ, როდესაც გამოაცხადეს, რომ 2016 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული თქვენ იყავით?

მ.მ. ჩემთვის წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი რამ მოხდა. უბედნიერესი ვიყავი, რადგან ჩემი ქვეყანა ვასახელე. მართლაც ძალიან ემოციური წუთები იყო და ეს არასოდეს დამავიწყდება. ყველა მილოცავდა, მეხუტებოდა, მკოცნიდა, სიხარულისგან ტიროდნენ კიდეც. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პროდიუსერს – გიგა კუხიანიძეს, ასევე ჩემი ვოკალის მასწავლებელს მაკა დავითაიას და კოსტიუმების დიზაინერს – მარიკა ქურდუბაძეს.

გქონდათ ასეთი მოლოდინი? ალბათ მანამდე ბევრჯერ წარმოიდგინეთ თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები.

მ.მ. სიმართლე რომ გითხრათ, გამარჯვებაზე ბევრს არ ვფიქრობდი. კონცენტრაცია მხოლოდ იმაზე მქონდა, რომ კარგად უნდა მემღერა. ვფიქრობდი მარტო იმაზე, რაც ჩემს გამოსვლასთან და სიმღერასთან იყო დაკავშირებული. ძალიან ბევრს ვმუშაობდი და ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ჩემთვის მთავარი მონაწილეობა იყო. უამრავი კარგი მეგობარი გავიჩინე და ეს დღეები ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ▶

„მალტადან თბილისში რომ ჩამოვფრინდი, სანამ ბარგს ველოდებოდით, უცებ ჩემი სიმღერა მომესმა. ყურებს არ ვუჯერებდი. არ მეგონა ამდენი ადამიანი თუ მოვიდოდა ჩემს დასახვედრად ბუშტებით, ყვავილებითა და პოსტერებით. მით-უმეტეს, საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი „მზეო“-საც თუ იმღერებდნენ“.

მიყვარს ახალი წელი. თოვლის ბაბუას წერილს ვუწერ ხოლმე და ჩემს სურვილს ვანდობ. ახალი წლის ღამეს მოუთმენლად ველოდები

კონკურსში მონაწილეობას 17 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა. როგორი ურთიერთობა გქონდათ მათთან?

მ.მ. ყველასთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა. განსაკუთრებით დავუმეგობრდი ავსტრალიის წარმომადგენელს – ალექსს. ჩვენ ერთმანეთის ნომრები და სოციალური ქსელის მისამართებიც კი გავცვალეთ და მეგობრობას ინტერნეტის მეშვეობით აუცილებლად გავაგრძელებთ.

მე-11 დაბადების დღეს მალტაზე შეხვდით. როგორ აღნიშნეთ დღესასწაული? საჩუქრები მიიღეთ?

მ.მ. ეს იყო ყველაზე განსხვავებული, განსაკუთრებული და დაუვიწყარი დაბადების დღე ჩემს ცხოვრებაში. ყველა მილოცავდა. ბავშვებმა დაბადების დღის სიმღერა მიმღერეს. ძალიან გავერთეთ და ვიხალისეთ. უფროსებმაც არ მოიწყინეს. სუფრა ჰქონდათ გაშლილი და ჩვენთან ერთად აღნიშნავდნენ.

კონკურსზე გიგა კუხიანიძის სიმღერა „მზეო“ შეასრულეთ. როგორ მოირგეთ ეს სიმღერა?

მ.მ. ძალიან შემიყვარდა. ეს არ არის უბრალო სიმღერა. ჩემთვის „მზეო“ დიდ გრძნობასთან ასოცირდება. რამდენჯერაც უნდა ვიმღერო, ემოციებით ვივსები. „მზეო“-ს დედაჩემს და საქართველოს ვუძღვნი. მალტადან თბილისში რომ ჩამოვფრინდი, სანამ ბარგს ველოდებოდით, უცებ ჩემი სიმღერა მომესმა. ყურებს არ ვუჯერებდი. არ მეგონა ამდენი ადამიანი თუ მოვიდოდა ჩემს დასახვედრად ბუშტებით, ყვავილებითა და პოსტერებით. მით უმეტეს, საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი „მზეო“-საც თუ იმღერებდნენ. ნამდვილი სიურპრიზი იყო, რომელიც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მომიწყო.

ერთ დღეში ძალიან პოპულარული გახდით. მთელმა საქართველომ გაგიცნოთ. სოციალური ქსელი აჭრელებული იყო პოსტებით და თქვენი გამოსვლის ვიდეოებით. უამრავი ადამიანი გილოცავდათ და თბილ სიტყვებს არ იშურებდა. მოელოდით ასეთ გამოხმაურებას?

მ.მ. არ მოველოდი. კონცერტის შემდეგ ჩემს FACEBOOK-გვერდზე შევედი და გაკვირვებული დავრჩი – ზუსტად 635 ადამიანს უნდოდა ჩემთან დამეგობრება... ნამდვილი სასწაული იყო! ყველა ვერც დავიმატე, ძალიან ბევრნი იყვნენ, ნელნელა დავიმატებ.

მთავარი საახალწლო სურვილი უკვე აგისრულდათ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ გექნებათ რამე ჩაფიქრებული. როგორ ხვდებით ხოლმე ახალ წელს?

მ.მ. მიყვარს ახალი წელი. თოვლის ბაბუას წერილს ვწერ ხოლმე და ჩემს სურვილს ვანდობ. ახალი წლის ღამეს მოუთმენლად ველოდები. წელსაც, დარწმუნებული ვარ, ჯადოსნური ახალი წელი იქნება. ცუდია, რომ დედიკოსთან ერთად ვერ შევხვდები ახალ წელს, მაგრამ სასიხარულო ის არის, რომ ჩემს საყვარელ ქალაქში ვიქნები და ბევრ საინტერესო ღონისძიებაში მივიღებ მონაწილეობას. ყველას ვულოცავ შობა-ახალ წელს და ოცნებების ასრულებას ვუსურვებ!

საახალწლო მილოცვებს HELLO!-ს გუნდიც უერთდება, ხოლო მარიამს კიდევ ერთხელ ვულოცავთ პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებას. დარწმუნებულები ვართ, რომ ის კიდევ არაერთხელ ასახელებს საქართველოს.

რაც შეეხება საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურს, გამორიცხული არ არის, რომ მომავალ წელს ის საქართველოში ჩატარდეს. საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე თვეში ევროპის მაუწყებელთა კავშირმა უნდა მიიღოს. წლევანდელი გამარჯვება კი საბავშვო ევროფესტივალის ისტორიაში ჩვენი ქვეყნისთვის რიგით მესამეა. მსგავსი შედეგი ამ დრომდე არცერთ სხვა ქვეყანას არ ჰქონია.

შეგახსენებთ, რომ საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში საქართველომ პირველად 2008 წელს გაიმარჯვა. მაშინ პირველი ადგილი ჯგუფმა „ბზიკები“ აიღო. მეორედ კი საბავშვო ევროვიზიის ფინალისტი ჯგუფი CANDY 2011 წელს გახდა.

ტექსტი: ლულუ კახიანი
ფოტო: იკა პირველი
ვარცხნილობა/მაკიაჟი: NATALI
ჩაცმულობა: IKKS

Etere Agency

BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

+995 577 12 22 08

www.benito.com

საახალწლო ტრადიციები და სურვილები
ცნობილი ადამიანებისგან

ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია ყველას სხვადასხვანაირი აქვს. ზოგი შინ ხვდება, ზოგი ქალაქგარეთ ან თუნდაც საზღვარგარეთ. ადგილს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ხომ განწყობაა! ახალი წელი ყოველთვის სიხარულთან, პოზიტიურ ემოციებთან და ახალ იმედებთან ასოცირდება. ქართული HELLO! ცნობილ ადამიანებს ესტუმრა და გაიგო როგორ ხვდებიან ახალ წელს და რას ისურვებენ 2017-ში ეკა ჩხეიძე, ლელა წურწუმია და ნოდიკო ტატიშვილი.

ეკა ჩხეიძე
მსახიობი

„ახალ წელს ყოველთვის შინ, ოჯახის წევრებთან ერთად ვხვდები. დიდი სანათესაო მყავს, შესაბამისად მთელი ღამე ერთმანეთთან სტუმრად დავდივართ. 1 იანვარი ამ მხრივ ტრადიციული დღეა – ყველანი ერთად ვიკრიბებით. ეს ჯერ კიდევ ბებიაჩემის ტრადიცია იყო, მასთან შინ ვიკრიბებოდით და ნაძვის ხესთან ტრადიციულ ფოტოს ვიღებდით. მას მერე ახალი წელი სიხარულთან და ზეიმთან ასოცირდება.

ახალი წლისთვის ბევრად ადრე ვემზადები. ძალიან მიყვარს საჩუქრების შეძენის პროცესი. ბედნიერი ვარ, როდესაც სხვას სიხარულს ვანიჭებ. საახალწლო სუფრაზე ყოველთვის არის საცივი და გოზინაყი.

ყველას გილოცავთ ახალ, 2017 წელს! ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერს ეშველება, ყველაფერი კარგად იქნება – მთავარია ჯანმრთელობა! ამის გარეშე არაფერს აქვს ფასი. გილოცავთ და მრავალ ახალ წელს დაესწარით!“

ლელა წურწუმია
მომღერალი

„ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ახალი წლის შეხვედრის ოჯახური ტრადიცია არ გვაქვს. ყოველთვის სამუშაო გარემოში მიწევს ყოფნა. 2017 წელს ისრაელში ვხვდები – იგეგმება გრანდიოზული საახალწლო კონცერტი, სადაც კოლეგებთან ერთად ვიღებ მონაწილეობას. ძალიან მიყვარს წინასაახალწლო სამზადისი, ნაძვის ხის აწყობა, სახლის მორთვა და საჩუქრების მომზადება. დღემდე ვოცნებობ, რომ თბილისში ახალ წელს მოთოვოს, რადგან ეს ნამდვილად ქმნის საახალწლო გარემოს და განწყობასაც ამძაფრებს. 1 და 2 იანვარს ტრადიციულად ვსტუმრობთ ჩვენს მშობლებს და ახალი წლის პირველ დღეებს ოჯახური სადილით აღვნიშნავთ. როგორც წესი, მეკვლე მამულიჩაა ხოლმე. თუმცა ძველით ახალ წელს ეს როლი კახაბერს ეკისრება, რომელიც უკვე მრავალი წელია 14 იანვარს ჩვენთან მოდის.

ბუნებრივია ის, რომ გსურს ყოველი ახალი წელი გასულზე უკეთესი, უფრო ნაყოფიერი და შემოსავლიანი იყოს. ახალ, 2017 წელს, უპირველესად მინდა ვისურვო მშვიდობა, რომელიც დანარჩენ ყველაფერს განაპირობებს. სტაბილურობა. ვისურვებდი ყველას უხაროდეს ახალი დღე, ჰქონდეს ხალისი, განწყობა, შესაძლებლობა, პროფესიული ზრდის საშუალება. ჩემს კოლეგებს წარმატებულ და პროდუქტიულ წელს ვუსურვებ. ჩვენს ქვეყანას კი – წინსვლას. გილოცავთ შობა-ახალ წელს!“

ნოდიკო ტატიშვილი
მომღერალი

„ახალი წლის ტრადიცია ჩემდა უნებურად ჩამოყალიბდა. მუსიკალური კარიერის გამო ახალ წელს უკვე დაახლოებით 7 წელია სცენაზე, უმეტესწილად ღია ცის ქვეშ ვხვდები. მომწონს ასეთი აქტიურობა, რომელიც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. წლევანდელი ღამეც არ იქნება გამონაკლისი. არაერთ საახალწლო ღონისძიებაში ვიღებ მონაწილეობას.

ბავშვობაში ახალი წელი ნამდვილად ზღაპრული იყო. ყოველ წელს თოვლის ბაბუასგან არაჩვეულებრივ საჩუქრებს ვიღებდი. ეს დღესასწაული განსაკუთრებულად მიყვარს. ჩემს ოჯახში ისედაც ხშირია სტუმრიანობა, თუმცა ამ დღეებში სტუმრების რაოდენობა იზრდება და დიდი მხიარულება სუფევს. დედაჩემი შესანიშნავი კულინარია, უგემრიელეს სუფრას შლის. მის მიერ მომზადებული კერძებიდან საცივს გამოვარჩევდი. 2016 წელი ჩემთვის, კარიერის თვალსაზრისით, საკმაოდ კარგი იყო. მინდა, რომ ეს დინამიკა 2017-შიც არ დაირღვეს. ბევრი საინტერესო პროექტი მაქვს დაგეგმილი, მათ შორის – ახალი ალბომისა და ვიდეოკლიპების პრეზენტაცია. იანვრის ბოლოს კი გერმანულ ტურნეში მივემგზავრები.

ყველას ვულოცავ ახალ წელს! საქართველოს და მთელ მსოფლიოს ვუსურვებ სიმშვიდეს. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში გაჭირვებული ადამიანი აღარ არსებობდეს. ეს ჩემი გულწრფელი სურვილია და იმედი მაქვს ასეც იქნება. ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა, გავუღიმოთ და ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს. ბედნიერი შობა-ახალი წელი ყველას!“

ფოტოები: ლელა ბახსანი. **ფოტო:** ირაკლი პეროველი.

„ოჯახი ჩემი მთავარი სტიმული და მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იმისთვის ვცხოვრობ, რომ ჩემი ოჯახი იყოს უზრუნველყოფილი“

ექსკლუზივი საფრანგეთიდან

მამუკა გორგოძე

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის ცხოვრება მოედანს მიღმა

სპორტული, ფიზიკური მონაცემებით ბავშვობიდან გამოირჩეოდა. სკოლის მოსწავლე იყო, როცა ძალები კალათბურთში მოსინჯა და 16 წლამდე აქტიურად თამაშობდა. ამ პერიოდში რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა ჯერ სამხრეთ აფრიკას, შემდეგ კი საფრანგეთს მოუგო და საქართველოს ნაკრების დიდმა წარმატებამ რაგბის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გაუჩინა. კალათბურთის ბურთი რაგბის ბურთმა ჩაანაცვლა და 18 წლის ასაკში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ მიიწვიეს. მეგობრის ქორწილში მეჯვარე იყო, როცა ციცი პირველად ნახა. მორიდებული, თუმცა იმ თაობის ბიჭებისგან განსხვავებული საქციელითა და თვისებებით მისი ყურადღება მალევე მიიქცია და შეყვარებული წყვილის ურთიერთობა ექვსი თვის თავზე ქორწილით გაგრძელდა. ცოლი ერთი წლის მოყვანილი ჰყავდა, როცა საფრანგეთში „მონპელიეს“ გუნდში სათამაშოდ მიიწვიეს, საბოლოოდ კი ამ გუნდში 9 სეზონი გაატარა. ბოლო 3 წელია ოჯახთან ერთად ტულონში ცხოვრობს და ფრანგული ლიგის გრანდ „ტულონის“ გუნდში თამაშობს. სწორედ საფრანგეთში, მამუკა გორგოძის სახლში მოეწყო HELLO!-ს ექსკლუზიური ფოტოსესია. სპორტულ მიღწევებზე, საფრანგეთში ცხოვრებაზე, ოჯახსა და საახალწლო სამზადისზე, მამუკა გორგოძე და მისი მეუღლე – ციცი ბოხუა გვესაუბრნენ.

მამუკა, მოგვიყევით პირველ წარმატებაზე და საქართველოს ნაკრებზე.

მ.გ. 18 წლის ვიყავი, როცა საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ მიმიწვიეს და ალბათ ჩემი ყველაზე დიდი და გამორჩეული წარმატება სწორედ ესაა. არასოდეს დამავიწყდება ნაკრებში ჩემი პირველი თამაში. გუნდის სხვა წევრებთან შედარებით ასაკით პატარა ვიყავი, საქართველო ესპანეთის ნაკრებს ეთამაშებოდა, მოედანზე დიდი თოვლი იდო, შეცვლაზე ვიყავი და მოედანზე სათამაშოდ 20 წუთით შემიყვანეს. სიხარულისგან არ ვიცოდი რას ვაკეთებდი. ▶ წარმოიდგინეთ, 18 წლის ბიჭი ხარ, რაგბის

„ძალიან მინდა ჩემმა შვილებმაც გაიგონ და ნახონ, როგორია ნამდვილი ახალი წელი. ყოველ მეორე წელიწადს, საახალწლოდ, საქართველოში ჩამოსვლა გვიწევს, რომ მათაც ვაჩვენო, ვასწავლო და შევაყვარო ჩვენი ტრადიციები“.

NOEL

„ბოლო 5 წელია ბავშვები ხან ცურვაზე, ხან ჩოგბურთზე დადიან. მუდამ ვცდილობ კვირაში ორი დღე სპორტი ჰქონდეთ. ნიკოლოზის რაგბიზე შეყვანა მინდოდა, მაგრამ ფიზიკურად სუსტი ბავშვია და ფეხბურთი ვამჯობინეთ. ახლა ნელ-ნელა მოძლიერდება, რაგბის კარგ სკოლას მოვძებნით და მომავალი წლიდან აუცილებლად შევიყვანთ“.

„პირველ იანვარს თითქმის ყოველთვის ვარჯიში მაქვს. აქედან გამომდინარე, ახალ წელს დიდ დღესასწაულს ვერ ვაწყობთ, უბრალოდ სუფრას ვშლით, ყველანი ერთად ვართ და ვცდილობთ სადღესასწაულო განწყობა შევიქმნათ“

თამაში ახალი დაწყებული გაქვს და ამხელა ტრიბუნების წინაშე შენი ქვეყნის ღირსებას იცავ... ენით აღუწერელი გრძნობაა. პრინციპში ეს დღემდე ასეა – ნაკრების თამაშებზე ჩემ თავს არ ვეკუთვნი ხოლმე.

როგორი იყო პირველი ნაბიჯები საფრანგეთში?

მ.ბ. საქართველოს ნაკრებში თამაში ერთი წლის დაწყებული მქონდა, როცა საფრანგეთში, „ტოპ-14“-ის კლუბ „მონპელიეს“ გუნდში სათამაშოდ მიმიწვიეს. ფიზიკურად ძლიერი ვიყავი და საქართველოში წარმატების მოპოვება მეტნაკლებად არ გამჭირვებია, თუმცა საფრანგეთში რომ წამოვედი, ძალიან რთული გზა გავიარე და თავის დამკვიდრებისთვის დღემდე ძალიან დიდი შრომა და ბრძოლა მიწევს.

როგორია ცხოვრება საფრანგეთში?

მ.ბ. საფრანგეთში 2005 წელს ჩამოვედი. მეუღლე ერთი წლის მოყვანილი მყავდა. თავიდან საბუთების გაკეთება გართულდა და ამიტომ მარტო წამოსვლა მომიწია. თავიდან ძალიან გამიჭირდა. საერთოდ ასეა – მარტო რაგბში არა, თუ წარმატებული არ ხარ, არავის სჭირდები და ბევრი წვალება გიწევს. საბუთებზე მახვენინეს, თუმცა საბოლოოდ გამიმართლა და დღეს ოჯახთან და ბავშვებთან ერთად აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველო ძალიან მენატრება. ცხოვრების აქაურ ტემპთან შეგუება თავიდან უზომოდ გამიჭირდა, გამოქცევაზე ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ აქაურობას ახლა ძალიან მივეჩვიე, საქართველოში წამოსვლამდე დღეებს ვითვლი და ყოველთვის ბავშვივით მიხარია.

ციცია, როგორი მეუღლეა მამუკა?

ც.ბ. რაც დრო გადის, ყოველ წელს იცვლება, იზრდება, მაგრამ სიყვარულისადმი მისი დამოკიდებულება უცვლელი რჩება. როგორიც იყო – გულწრფელი, ბავშვური, ისეთივეა ახლაც. მამუკა, როგორც მეუღლე? ის ჩემთვის ყველაზე ახლო ადამიანია, რომელიც სხვებისთვის უჩვეულო და ჩემთვის უკვე დიდი ხნის ნაცნობი თვისებებით ყოველ დღეს მიბედნიერებს და მიხალისებს. მამუკა იდეალური მეუღლეა, რომელსაც შეგიძლია დაეყრდნო და მისი იმედი ბოლომდე გქონდეს.

„საფრანგეთში ცხოვრება თავიდან ძალიან გამიჭირდა, გამოქცევაზე ვიყავი. ახლა მივეჩვიე, მაგრამ საქართველო მუდამ მენატრება. როცა ვიცი, რომ უნდა ჩამოვიდე, დღეებს ვითვლი და ბავშვივით მიხარია ხოლმე“

მამუკა, როგორი მამა ხართ?

მ.ბ. დროის უქონლობის გამო, სამწუხაროდ ბავშვებთან დიდ დროს ვერ ვატარებ, თუმცა მათი განათლება და აღზრდა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სკოლის გარდა, ბავშვები ინგლისურისა და მათემატიკის გაძლიერებულ წრეებზე დაგვყავს. რა თქმა უნდა, მათ ცხოვრებაში სპორტსაც დიდი ადგილი უკავია. ბოლო 5 წელია ბავშვები ხან ცურვაზე, ხან ჩოგბურთზე დადიან. ხშირად ვუცვლი სპორტის სახეობას, მუდამ ვცდილობ კვირაში ორი დღე სპორტი ჰქონდეთ.

ს.ბ. მამუკა არაჩვეულებრივი მამაა. ბავშვებთან ურთიერთობისას მე ცოტა მკაცრი ვარ. ჩემგან განსხვავებით ის უფრო „კეთილის“ როლს ასრულებს და ბავშვებისთვის მამაზე მეტად მეგობარი უფროა, თუმცა მისი ძალიან დიდი რიდი აქვთ და მე თუ არ მიჯერებენ, ან მაბრაზებენ, ყოველთვის ვაჟღერებ „მაგიურ“ ფრაზას: „მამას ვეტყვი...“ და წინადადება არ მაქვს დამთავრებული, რომ ჩემი ნათქვამი უკვე შესრულებული აქვთ.

როგორია ციცის როლი თქვენს წარმატებაში?

მ.ბ. ოჯახი ჩემი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ციცის ჩემს წარმატებაში უდიდესი როლი მიუძღვის. ხშირად გამიგია, ცოლი მოიყვანა და სპორტს თავი დაანებაო. ციცის ჩემი კარიერისთვის ხელი არასოდეს შეუშლია, პირიქით – მუდამ მეხმარება. ▶

„მთავარია, რა საქმეშიც ხარ იმ საქმის პროფესიონალი და უბადლო შემსრულებელი იყო. შუაში ყოფნა არ მიყვარს. წარმატება სტიმულს მაძლევს – რაც უფრო მეტს ვაღწევ, უფრო მონდომებული ვარ და წინ მივიწევ“.

„გულშემატკივრობას უზომოდ დიდი ძალა აქვს – განსაკუთრებით მაშინ, როცა თამაში ქულა-ქულაში მიდის და ძალიან გჭირდება მხარდაჭერა“.

„მამუკა არაჩვეულებრივი მამაა, მე ცოტათი მკაცრი ვარ, ის ბავშვებისთვის მეგობარი უფროა, ვიდრე მამა“

როგორ ემზადებით საახალწლოდ?

ბ.ბ. პირველში და ორში მამუკას ყოველთვის თამაშები აქვს, 31-ში კი – ვარჯიში. აქ ძალიან ძნელია საახალწლოდ გვქონდეს ის ტრადიციები, რომლებიც საქართველოში, ჩვენს ოჯახებშია: ნაძვის ხის მორთვა, სამზარეულოში წინასაახალწლო ფუსფუსი, ქართული საახალწლო სუფრა და ოჯახის წევრებით სავსე სახლი. ეს ყველაფერი აქ ვერ გექნება, თან იმის გათვალისწინებით, რომ მამუკა ყოველთვის რეჟიმშია და დიეტაზე ყოფნა უწევს. ერთადერთი ტრადიცია, რომელიც 31 დეკემბერს გვაქვს, საოჯახო ვახშამი, კარგი განწყობა და ნაძვის ხის ქვეშ ერთმანეთისთვის საჩუქრების დახვედრებაა.

მთავარი სურვილი 2017 წლისთვის...

მ.ბ. დღეს, როცა მსოფლიო მოვლენებს ვადევნებ თვალს, ერთადერთი, რაც მინდა, ისაა, რომ საქართველოში მშვიდობა იყოს და ოჯახის წევრები, ჩემ გარშემო მყოფი ადამიანები ჯანმრთელად მყავდნენ. დანარჩენი, ყველაფერი იქნება.

ტექსტი: ზურა მახარაშვილი
ფოტო: დიმიტრი ბალანი

ოკტოპუს ფიტნეს კლუბი

- კონცეპტუალური სავარჯიშო დარბაზი
- ინსტრუქტორების დიდი ჯგუფი
- LIFE FITNESS-ის უახლესი სერიის ტრენაჟორები
- მომხმარებელზე პერსონიფიცირებული სავარჯიშო პროგრამები
- ჯგუფური ვარჯიშების ფართო არჩევანი

Be *ok*
Climb to the *top*
Become one of *us*

OPEN: *24/7*

სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/

VICTORIA'S SECRET

ექსკლუზიური დეტალები პარიზული ჩვენებიდან

სანამ ფრთებს მოირგებდნენ, „ანგელოზები“ ლოს-ანჯელესიდან პარიზში სპეციალური თვითმფრინავით გაემგზავრნენ. მათ მოგზაურობას სოციალურ ქსელში მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს.

წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას VICTORIA'S SECRET-ის ჩვენებების 21-წლიან ისტორიაში პირველად, პარიზმა უმასპინძლა და მსოფლიოს ულამაზესმა მოდელებმაც სწორედ საფრანგეთის დედაქალაქში მოიყარეს თავი. პოდიუმზე, რომელსაც მთელი მსოფლიო შურის თვალით უცქერდა, „ვეტერან“ ანგელოზებთან ერთად ახალბედა ლამაზმანებიც ვიხილეთ. HELLO!-მ სპეციალურად ჩვენი მკითხველისთვის სილამაზისა და სექსუალურობის დღესასწაულის კარი ექსკლუზიურად შეაღო და ცხელ Backstage დეტალებს გთავაზობთ.

წლევანდელი ჩვენება, რომელიც თავად ანგელოზებმა და პუბლიკამ ერთხმად ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს, სანახაობრივად საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. 50-მა სუპერმოდელმა „გრანდ პალასის“ სცენაზე 82 ულამაზესი LOOK-ი წარმოადგინა. მათ შორის იყვნენ ალესანდრა ამბროსიო, ადრიანა ლიმა, ჯოან სმოლსი, კენდალ ჯენერი, ჯიჯი ჰადიდი... მოდის ინდუსტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურები ამ დღეს ისევე ელოდნენ, როგორც დანარჩენი მსოფლიო და სოციალური მედია.

ჩვენება განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა ირინა შეიკისთვის. რუსი სუპერმოდელი, რომელიც ბოიფრენდ ბრედლი კუპერისგან პირველ შვილს ელოდება, „ანგელოზის“ ▶



Victoria's Secret-ის ჩვენებები ყოველწლიურად მუსიკალური გაფორმებითაც გამოირჩევა. ამჯერად მოდელებს სცენაზე ბრუნო მარსი, ლედი გაგა და The weeknd ამხნევებდნენ.

ჩვენების უკონკურენტო Highlight-ი პოდიუმზე ჯასმის ტუკსის გამოჩენა იყო. 25 წლის მოდელმა წელს 3 მილიონად შეფასებული Bright Night Fantasy Bra მოირგო

ამპლუაში პირველად ვიხილეთ, თანაც – ორსული. შეიკის მსგავსად პოდიუმზე ბელა ჰადიდის დებიუტიც შედგა – ჯიჯის უმცროსმა დამ „ანგელოზის“ სტატუსი ღირსეულად მოირგო. VICTORIA'S SECRET-ის ისტორიაში პირველად, სწორედ ჰადიდები გახდნენ პირველი დები, რომლებმაც ჩვენებაში ერთდროულად მიიღეს მონაწილეობა. თუმცა ბელამ პუბლიკას თავი უფრო სხვა მიზეზის გამო დაამახსოვრა – 20 წლის მოდელისა და მისი ყოფილი შეყვარებულის – The Weeknd-ის ემოციური შეხვედრა პოდიუმზე ალბათ წლევანდელი ჩვენების ყველაზე გამორჩეულ მომენტად იქცა, რომელსაც ინტერნეტსამყაროში არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა.

კოსტიუმები თემატურად საკმაოდ საინტერესოდ იყო დაყოფილი - Dark Angel, Secret Angel, Pink Nation, Mountain Romance, და Bright Night Angel წლევანდელი კოლექციის მთავარი ინსპირაციები გახდა

ბრედლი კუპერი პირველი შვილის მამა გახდება

ბრედლი კუპერის ცხოვრება მალე ძირფესვიანად შეიცვლება – **ირინა შეიკი** მისგან შვილს ელოდება. ეს ამბავი აშკარა მაშინ გახდა, როცა 30 წლის მოდელი **VICTORIA'S SECRET FASHION SHOW**-ზე მოზრდილი მუცლით გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოსი მაქსიმალურად „ცდილობდა" ირინას ორსულობა „დაემალა", გულშემატკივრებსა და პაპარაცებს სიახლე არ გამოჰპარვიათ. შოუს პირველ ნაწილში მომავალი დედა კრემისფერი ლაბადით, ნაცრისფერი საცვლებითა და მაღალყელიანი ჩექმებით გამოჩნდა. მეორე ნაწილში



41 წლის მსახიობისთვის ეს პირველი შვილი იქნება. ბრედლიმ და ირინამ სასიყვარულო ურთიერთობა 2015 წლის გაზაფხულზე დაიწყეს.

„მთავარია გრძნობდე, რომ გვერდით ის გყავს, ვისთანაც მთელ ცხოვრებას გაატარებდი"

კი წითელი საცვლები და ამავე ფერის ორიგინალური მოსაცმელი ამშვენებდა, რომელიც მის წამოზრდილ მუცელს ოსტატურად ფარავდა.

41 წლის მსახიობისთვის ეს პირველი შვილი იქნება. ბრედლიმ და ირინამ სასიყვარულო ურთიერთობა 2015 წლის გაზაფხულზე დაიწყეს. მანამდე შეიკი კრიშტიანუ რონალდუს შეყვარებული იყო, კუპერი კი მსახიობ სუკი უოტერჰაუსს ხვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავური წყვილის ამბები ყველას ძალიან აინტერესებს, მომავალი მშობლები მაინც ახერხებენ პაპარაცებს თავი დააღწიონ და პირადი ცხოვრება საჯარო განხილვის საგნად არ აქციონ. გარშემომყოფები ამტკიცებენ, რომ ბრედლი და ირინა ძალიან ბედნიერები არიან და ერთად გატარებული თითოეული წუთით ტკბებიან.

შეიკმა HELLO!-ს სულ ცოტა ხნის წინ გაუმხილა, რომ დიდი ხანია ბედნიერ ოჯახზე ოცნებობს: ***„დედაჩემი და მამაჩემი ერთად 20 წელზე მეტხანს ცხოვრობდნენ, ამიტომ ძალიან მინდა მეც მქონდეს ოჯახი, რომელიც ჩემთვის ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. არ მგონია ამისთვის იდეალური დრო არსებობდეს. მთავარია გრძნობდე, რომ გვერდით ის გყავს, ვისთანაც მთელ ცხოვრებას გაატარებდი. ჩემს დას შვილი 22 წლის ასაკში ეყოლა და მისთვის ეს იდეალური დრო იყო. მე კი იანვარში 31-ის გავხდები და მგონია, რომ ჩემი „იდეალური დროც" დადგება***". ამ საუბრიდანაც ჩანს, რომ ირინა ოჯახის შექმნისა და დედობისთვის ნამდვილად მზად არის და მალე დაამტკიცებს კიდეც, რომ მისი „იდეალური დრო" სწორედ ახლაა.

ფოტოები: ეროვნე ბარბალიუსბაგოლი, **ფოტო:** GETTY IMAGES.

„მსუნაგები“ – სერიალი ზაზუნების მონაწილეობით

ალბათ შეგიმჩნევიათ ჩვენს ქალაქში გაკრული და სოციალურ ქსელში განთავსებული ბანერები, სადაც ზაზუნების საყოველთაო შერჩევაა გამოცხადებული. სერიალში გადასაღებად იწვევენ ახალგაზრდა, ენერგიულ, საყვარელ, ღრღნისმოყვარე და ნიჭიერ ზაზუნებს. პროექტი „**მსუნაგები**“ კრეატიულ სარეკლამო სააგენტო „**ლივინგსტონს**“ ეკუთვნის და ცხრა სერიას გააერთიანებს. სერიები კვირაში ერთხელ სოციალურ ქსელში განთავსდება. სერიალი სატირულ-პაროდიული ხასიათისაა და სხვადასხვა წიგნის, ფილმისა თუ გადაცემის პაროდიას წარმოადგენს.

„**მსუნაგები**“ მოგვითხრობს ზაზუნების ერთ ჩვეულებრივ ოჯახზე, რომელიც მსუნაგეთში ცხოვრობს და ქართული ოჯახის პროტოტიპია. აქ შეხვდებით: **ბაბუა ზეზვას**, რომელიც მთელი დღე ხმას არ იღებს, რადგან შვილიშვილს მისი სახელი არ დაარქვეს; **მამას – ზაზას**, რომელიც გაზეთების კითხვითა და კროსვორდების ჭამითაა გატაცებული, **დედას – ნაზის**, რომელიც შესანიშნავი კულინარია, ამიტომ ოჯახში ყველას „მოხარშულს იცნობს“; **ქალიშვილ ზიზის**, რომელიც ყველაფერს ჭამს, ამავდროულად წონაში დასაკლებად ბორბალში ბევრს დარბის; **თინეიჯერ ზუკას**, რომელსაც უძილობა და ნევროზი აწუხებს.

ზაზუნების ქალაქში ყველაფერია იმისთვის, რომ იქაურმა მცხოვრებლებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. აქ არის სუპერმარკეტი, წიგნებისა და ყვავილების მაღაზია, ულამაზესი პარკი და უამრავი გასართობი. სერიალის მსვლელობისას პროექტს ახალი პერსონაჟები შეემატება: ქალაქის გაღორებული **მერი ტრამპუცა**, **სუპერმენი**, **ფორესტ გამპი** და **პოპკულტურის სხვა ცნობილი პერსონაჟები**. როგორც სერიალის შემქმნელები ამბობენ, ზაზუნები ძალიან კარგი მსახიობები არიან და საჭმლის ხათრით ყველაფერს ისე აკეთებენ, როგორც საჭიროა. რაც შეეხება პროექტის შემქმნელ სააგენტო „**ლივინგსტონს**“, კომპანია 6 წლის წინ დაარსდა და მისი სამუშაო სფეროებია: კრეატიული კამპანიების შექმნა, ვებ-დიზაინი, ვებ და მობილური აპლიკაციების განვითარება, ბრენდინგი, სარეკლამო ანალიტიკა და სოციალური მედია. არსებობის მანძილზე „**ლივინგსტონმა**“ უამრავი ჯილდოს მოპოვება მოახერხა. მათ შორისაა **კანის ორი ბრინჯაოს ლომის ჯილდო** და **ვერცხლის პრიზი London International Award**-ზე. კრეატიული დირექტორი: **ლევან ლეფსვერიძე**, სცენარისტი: **ბექა ადამაშვილი**, არტდირექტორი – **სოფია ანთიძე**, ექაუნთი – **ნათია გოგია**, აღმასრულებელი პროდიუსერი – **გიორგი ტოკლიკიშვილი**, მთხრობელი – **სოსო ხვედელიძე**, ოპერატორი – **ტატო კოტეტიშვილი**, მუსიკა/ხმა – **გვაჯი** *(გიორგი გვარჯალაძე)*.

ინტერვიუ: ლუდოვიკ ბასილანი. **ფოტო:** ბარი ტაბატაძე.

30 დღე

ახალი ამბების დასტა



ხატია ბუნიათიშვილი კიდევ ერთი საერთაშორისო პრიზის მფლობელი გახდა. ევროპის ყველაზე პრესტიჟულმა ტელევიზიამ – TF1-მა ქართველი პიანისტი „წლის მუსიკოსად“ დაასახელა. ფრანგულმა არხმა ყოველწლიურ ცერემონიაზე ხელოვანები, სპორტსმენები და მედიის ღირსეული წარმომადგენლები დააჯილდოვა. ხატიას, რომელმაც აუდიტორიას ემოციური სიტყვით მიმართა, „ფორტეპიანოს ვირტუოზი“ უწოდეს და მისი პროფესიული გზაც გაიხსენეს. შეგახსენებთ, რომ ბუნიათიშვილი ამჟამად Sony Classical-თან თანამშრომლობს.



მიკ ჯაგერი მამა უკვე მერვედ გახდა. 73 წლის მომღერალს შვილი 29 წლის მელანია ჰამრიკმა აჩუქა. ამერიკელმა ბალერინამ ნიუ-იორკში იმშობიარა და ოჯახს კიდევ ერთი ბიჭი შემატა. მიკს უკვე ჰყავს შვიდი შვილი, რომელთა ასაკი 17-დან 45 წლამდეა. გარდა ამისა, ის ხუთი შვილიშვილისა და ერთი შვილთაშვილის ბაბუაა. დანარჩენი შვილები მუსიკოსს მარშა ჰანტისგან, ბიანკა ჯაგერისგან, ჯერი ჰოლისა და ლუჩიანა ხიმენესისგან ჰყავს. ჯაგერი პროფესიულ ასპარეზზეც აქტიურობს – წელს The Rolling Stones-მა ახალი ალბომი – Blue & Lonesome გამოაქვეყნა.



THE RADIO DEPT თბილისს ეწვია და გულშემატკივრებს დაუვიწყარი კონცერტი უსახსოვრა. ალტერნატიული პოპისა და ინდიროკის საკულტო ბენდის შოუ Muzame-ს ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა. შვედურ ბენდს ახალმა მულტიფუნქციურმა კულტურულმა სივრცემ – SPACEHALL-მა უმასპინძლა. პროექტის ფარგლებში თბილისს მანამდე ჯენეზის ფიორიჯი და მოლი ნილსონიც ეწვივნენ. საპატიო სტუმართა სიაში ჯეი ჯეი იოჰანსონი და პოპულარული გერმანელი DJ და პროდიუსერი – დევიდ ოგასტიც არიან.



ნონა გაფრინდაშვილი 74 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ქართველმა მოჭადრაკემ იტალიის ქალაქ აკვი-ტერმეში მიმდინარე 25-ე მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა და საპატიო ტიტული 65 წელს ზევით ქალთა შორის მოიპოვა. ბოლო ტურში ჩემპიონი ქართველ მოჭადრაკეს – თამარ ხმიადაშვილს დაუპირისპირდა. პირველობისთვის სენიორებში სულ ათი მოჭადრაკე იბრძოდა. მათგან ორი საქართველოდან იყო, ოთხი – რუსეთიდან, დანარჩენები კი ისრაელიდან და ყაზახეთიდან ასპარეზობდნენ.

კრიშტიანუ რონალდუ „ოქროს ბურთის“ მფლობელი მეოთხედ გახდა.



Ballon d’Or 2016-ის გამარჯვებულმა ფეხბურთელმა სიამაყით განაცხადა: „ჩემთვის უდიდესი პატივია მეოთხე „ოქროს ბურთის“ მიღება. ისეთი ემოცია მაქვს, პირველ ჯერზე რომ მქონდა. ჩემი დიდი ოცნება კიდევ ერთხელ იქცა რეალობად. ვერასოდეს წარმომედგინა, ამ პრიზს ოთხჯერ თუ ავიღებდი. ძალიან გახარებული და უზომოდ ბედნიერი ვარ“. ამ შედეგით კრიშტიანუ მხოლოდ ლიონელ მესის ჩამორჩება, რომელსაც „ოქროს ბურთი“ უკვე ხუთჯერ აქვს მოპოვებული.

ირაკლი ბათიაშვილი საზოგადოების წინაშე ახალი წიგნით წარდგა. „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრეზენტაციაზე აუდიტორიამ „მარტინ ჰაიდეგერი: სხვა გზა“ გაიცნო, რომელიც მე-20 საუკუნის უდიდესი გერმანელი მოაზროვნის ფილოსოფიის საკვანძო საკითხებს ეძღვნება. წიგნშივეა თავმოყრილი ავტორის ანალიზი და შეხედულებები. როგორც რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე ამბობს, ახალი ნამუშევარი საქართველოსთვის ერთგვარი სავიზიტო ბარათია, რომელიც ჩვენს ფილოსოფიურ აზროვნებასა და კულტურულ თუ ზნეობრივ დონეს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს.

ტექსტი: ეკატერინე ბარბალიტაშვილი

სეული მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ქალაქად დასახელდა

სამხრეთ კორეის დედაქალაქსა და ქვეყნის უდიდეს აგლომერაციაში მოსახლეობის რაოდენობა 12 მილიონს აღემატება. გამოკითხვა და კვლევები Arcadis.com-მა ჩაატარა და დაადგინა, რომ ამ ქალაქში ადამიანთა ბედნიერების ყველაზე დიდი მაჩვენებელია. რეიტინგში მეორე ადგილი როტერდამმა – ნიდერლანდების ყველაზე ღამაზმა ქალაქმა დაიკავა. მომდევნო პოზიციები კი ჰამბურგმა, ვენამ, ბერლინმა, პრაღამ, ამსტერდამმა, მიუნხენმა, მასკატმა და სინგაპურმა გადაინაწილეს.



CRITICS' CHOICE AWARDS 22-ედ გაიმართა და რჩეული ფილმები და მსახიობები გამოავლინა. ამერიკის კრიტიკოსებმა წლის საუკეთესო ფილმად „ლა ლა ლენდი" აღიარეს, რომელმაც ჯამში რვა პრიზი მიიღო. საუკეთესო მსახიობებად ქეისი აფლეკი და ნატალი პორტმანი დაასახელეს, საუკეთესო ანიმაციურ ფილმად კი – „ზოოტოპია". აშკარა ფავორიტი იყო „სამეფო კარის თამაშებიც", რომელსაც ისევ საუკეთესო სერიალის ტიტული ერგო. მასთან ერთად, ამერიკელმა კრიტიკოსებმა HBO-ს „ველური დასავლეთის სამყაროც" გამოარჩიეს.

პაატა ბურჭულაძე პოლიტიკიდან წავიდა. მან საკუთარი პარტია ოფიციალურად დატოვა და განაცხადა, რომ საერთაშორისო კარიერის გაგრძელებასა და სცენაზე დაბრუნებას აპირებს. პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის" ახალ ხელმძღვანელად 24 წლის ნიკა მაჭუტაძე დაინიშნა. ის პოლი-ტიკური გაერთიანების დაფუძნების დღიდან ახალგაზრდა პლატფორმის წევრი იყო. შეგახსენებთ, რომ პაატა ბურჭულაძე არჩევნებში ჩართვამდე „საქართველოს განვითარების ფონდის" დამფუძნებელი და ოპერის ცნობილი მომღერალი იყო.



ჯიმი კიმელი ამერიკული კინოაკადემიის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას გაუძღვება. „დოლბის" თეატრში კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს „ოსკარს" წელს 89-ედ გადასცემენ. წამყვანი ტელეარხმა ABC-მ შეარჩია. კომპანიის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ კიმელი „ოსკარის" მაყურებელთა რაოდენობას საგრძნობლად გაზრდის. ამავდროულად, ჯიმიმ საკუთარი ჰონორარი გაამხილა და გულშემატკივრებს აცნობა, რომ დაჯილდოების მასპინძლობაში 15 000 დოლარს გადაუხდიან. ცერემონია 26 თებერვალს გაიმართება.

პაოლო ჯენტილონი იტალიის ახალი პრემიერმინისტრია. ქვეყნის პრეზიდენტმა – სერჯო მატარელამ მას უკვე დაავალა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბება. მინისტრთა ახლებური შემადგენლობა 2018 წლის თებერვლამდე – ახალი პარლამენტის არჩევამდე იმუშავებს. 62 წლის პოლიტიკოსი მანამდე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა. პრემიერმინისტრის მოვალეობებს კი მატეო რენცი ასრულებდა, რომელმაც გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება 7 დეკემბერს მიიღო.

CHOPARD-ის საიუველირო ფირმის თანაპრეზიდენტი

ეეროლაინ შოიფელე

შვეიცარიაში ტბისპირას მდებარე საშობაოდ მორთულ თავის სახლში გვეპატიჟება

ქეროლაინს უყვარს
თავისუფალი დროის
გატარება ჟენევის ტბასთან
მდებარე თავის ელეგანტურ
ვილაზე, რომელიც ასევე
მისი ცხრა ძაღლის
სახლიცაა. ფოტოზე ხედავთ
გლამურულ მეპატრონეს
თავის რვა ძაღლთან ერთად.

ქეროლაინის ოთხი ლეონბერგერიდან ერთ-ერთი შემოსასვლელშია წამოწოლილი (ზევით). როდესაც მისი დაძაბული რეჟიმი ამის საშუალებას იძლევა, ქეროლაინს სასტუმრო ოთახში ბუხრის წინ მოკალათება უყვარს (ზევით, მარჯვნივ).

„ჩემი საყვარელი ძვირფასი თვალი? ბრილიანტი. არასოდეს გიღალატებს. ბრილიანტები გოგონების საუკეთესო მეგობრები ჯერ კიდევ არიან!“

სადღესასწაულო სეზონზე ქეროლაინ შოიფელემ (CAROLINE SCHEUFELE) შვეიცარია-საფრანგეთის საზღვარზე, კერძოდ კი ჟენევის ტბაზე მდებარე თავისი ფანტასტიკური სახლი 19 ათასი ნათურით, 6 500 მოსართავით, 500-ზე მეტი პუანსეტიათი, რომელიც ჩვენთან „შობის ყვავილის“ სახელით არის ცნობილი, და დეკორის უამრავი ელემენტით გაალამაზა.

მსოფლიოს ამ ცნობილ და ულამაზეს კუთხეში, CHOPARD-ის მხატვრული დირექტორი და თანაპრეზიდენტი ქეროლაინი თავის ლეგენდარულ წვეულებებს ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის მართავს. პარალელურად კი იმის დროსაც ნახულობს, რომ ბუხართან კომფორტულად მოკალათდეს და თავისი სამუშაო გრაფიკი წინასწარ დაგეგმოს.

ქეროლაინი სასაუბროდ მის ერთ-ერთ საუკეთესო მეგობართან – მოდელთან და CHOPARD-ის ელჩთან პეტრა ნემცოვასთან ერთად „გამოვიჭირეთ“. მან დეკორისა და ზეიმის მასტერკლასიც ჩაგვიტარა და გაგვანდო, თუ რას აპირებდა საახალწლოდ.

ქეროლაინ, სახლი ზღაპრულად გამოიყურება. ეს შესანიშნავი მორთულობა მართლაც არაჩვეულებრივია...

ქ.შ. გმადლობ! ვგიჟდები შობაზე, განსაკუთრებით კი სამზადისზე – ყველაფრის მორთვით რომ ხარ დაკავებული და სულმოუთქმელად ელი სადღესასწაულო დღეებს. წელიწადის ამ დროს უპირატესობას ტრადიციულ დიზაინს ვანიჭებ. ბევრ ადამიანს უფრო თანამედროვე სტილი ურჩევნია, თუმცა მე მაინც ისეთ ძირითად ფერებს ▶

„წელიწადის ამ დროს უპირატესობას ტრადიციულ დიზაინს ვანიჭებ. ბევრ ადამიანს უფრო თანამედროვე სტილი ურჩევნია, თუმცა მე არჩევანს მაინც ისეთ ძირითად ფერებზე ვაკეთებ, როგორებიცაა წითელი, ოქროსფერი, მწვანე და თეთრი“

ვირჩევ, როგორებიცაა წითელი, ოქროსფერი, მწვანე და თეთრი.

სადღესასწაულო სეზონზე ყველაზე მეტად რა გხიბლავთ?

უ.ბ. დეკორის გარდა, მიყვარს სიცივე, რომელიც გარეთაა. შობას ყოველთვის მთაში ვატარებ. წელიწადის ამ დროს საკუთარი თავი სადმე, კარიბის კუნძულებზე ვერ წარმომიდგენია. ჩემთვის ეს არის ბუხრის წინ დიდ, თბილ ჯემპერში კომფორტულად ყოფნა... ულამაზესი დეკორით გარშემო.

შობას თქვენი ოჯახის წევრებთან ხვდებით?

უ.ბ. დიახ. ყოველ წელს ასეა...

რამე განსაკუთრებული ოჯახური ტრადიცია თუ გაქვთ?

უ.ბ. იმის გარდა, რომ აქ ვიკრიბებით, ჩვენ ასევე ვსტუმრობთ შალეს სოფელში GSTAAD, სადაც წინასაშობაოდ ძალიან მარტივ და ტრადიციულ კერძებს მივირთმევთ. ამ კერძების რეცეპტი ხელიდან ხელში ბებიის ოჯახიდან გადაეცემა. სუფრაზე ყოველთვის არის ქაშაყის სალათი ვაშლით, კიტრით... და კიდევ ხუთი ინგრედიენტით. დედაჩემმა ეს რეცეპტი ოდნავ გაამარტივა. ყველაზე კარგი რამ ის არის, რომ ამ კერძის მომზადება წინა დღით შეგიძლიათ, ასე რომ შობის წინა დღეს სამზარეულოში ფუსფუსი არ გიწევთ (როცა ბევრი ევროპელი საჩუქრების გახსნით არის დაკავებული). ამ სალათს მხოლოდ ამ დღეს ვამზადებთ. ეს შესანიშნავია, რადგან წელიწადის ამ დროს ადამიანები უამრავ ტკბილეულს მიირთმევენ. ეს კერძი კი ახალგაკეთებული, ოდნავ მომჟავო და უგემრიელესია.

ქეროლაინის სახლში სტუმრებს საშუალება აქვთ დატკბნენ ზამთრის საოცრებებით, რომელიც 19 ათას ნათურასა და 6500 მორთულობას გულისხმობს. ზევით მზადდებაა წვეულებისთვის არაოფიციალურ სასადილო ოთახში, რომელიც სამზარეულოს ორ სივრცეს ერწყმის.

რაც შეეხება მოკაზმვას – ყველაზე მეტად რომელი ძვირფასი თვალი უხდება სადღეასწაულო სეზონს?

ე.შ. ბრილიანტი. ის ხომ ისე ბრწყინავს. ბრილიანტები გოგონების საუკეთესო მეგობრები არიან.

თქვენი საყვარელი ძვირფასი თვალი რომელია?

ე.შ. ისევ და ისევ ბრილიანტი. არასოდეს გიღალატებს. ეს თვალი პატივისცემას მოითხოვს, რომელიც მილიონი წლის წინ ბუნებამ შექმნა.

ისევე, როგორც ცნობილი 85-კარატიანი ბრილიანტი Evoke Golconda. ის Chopard-ის კოლექციის საუკეთესო ნიმუშია?

ე.შ. ამ ბრილიანტის უნიკალურობა მისსავე შემადგენლობაშია. ძვირფასი ქვა განსაკუთრებული ადგილიდანაა – ინდოეთის ერთ-ერთი მდინარის კალაპოტში არსებული უძველესი მაღაროდან. ეს ფაქტი მას კიდევ უფრო მეტ მბზინვარებას მატებს.

მოგვიყევით თქვენს მეგობრობაზე Chopard-ის მუზასთან – პეტრა ნემცოვასთან...

ე.შ. ის უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი ელჩი. ძალიან ახლო მეგობარია, ერთმანეთს წლებია ვიცნობთ. ლამაზია – როგორც გარეგნულად, ასევე შინაგანად. ჭკვიანია, რამდენიმე ენაზე საუბრობს. იგი მოდელია არა მხოლოდ ფიზიკური მონაცემების, არამედ პიროვნული თვისებების გამოც. დიდი გულის პატრონია. მისი საქველმოქმედო ორგანიზაცია Happy Hearts Fund ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზიანებულ ადგილებში სკოლების მშენებლობას აფინანსებს. უკვე 120 მსგავსი სკოლა აშენდა. ▶

სახლში 11 სააბაზანო ოთახი, სპა და მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სპორტული დარბაზია

აქედან სტუმრების საძინებელ ოთახებში ჭოჭვდებით. ქეროლაინის თურქული აბაზანა და სტუმრის ერთ-ერთი თანამედროვე ტიპის სააბაზანო ოთახი, რომელსაც ტელევიზორი ამშვენებს.

ქეროლაინი თავის მდიდრულ სააბაზანო ოთახში ემზადება. ფლორენციელი ხელოსნების გუნდმა ახალი ჭერის მორთვაზე მუშაობა ახლახან დაასრულა (ზევით, მარცხნივ)

კომპანიამ მოდელის საქველმოქმედო ორგანიზაციის – Happy Hearts Fund-ის მხარდასაჭერად სპეციალური სამაჯური გამოუშვა. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის ცუნამის მსხვერპლია, რამაც მასზე დიდი კვალი დატოვა, პეტრამ არ შეწყვიტა აქტივობა და ყოველთვის ბედნიერია. მუშაობისას სუპერპროფესიონალია და საქმე სიამოვნებას ანიჭებს.

Chopard-ის მხატვრული დირექტორი და თანა-პრეზიდენტი ბრძანდებით. როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე?

პ.ბ. დილით, სამსახურში რომ მივდივარ, გასაკეთებელი საქ-მეების დიდი ნუსხა მაქვს... საღამოს 6 საათზე კი, შინ რომ ვბრუნდები, მილიონობით რამეს ვვეგმავ, მაგრამ ამ სიიდან – არაფერს. ვდგები დაახლოებით დილის შვიდ საათზე. შემიძლია გვიან დავიძინო, მაგრამ ▶

„დრო არის ფუფუნება. დროის ქონა და მეგობრებთან მისი გატარება. ასევე შინ ყოფნაც ჩემთვის გარკვეულწილად ფუფუნებაა“

ქეროლაინის პირადი ბიბლიოთეკა, საიდანაც მის საძინებელში ხვდებით. სახლი, რომელიც 1200 კვ. მეტრს ითვლის, ოჯახისა და სტუმრებისთვის ხუთ საცხოვრებელ სივრცეს იტევს.

მეორე გვერდზე: Chopard-ის ბრილიანტებით, ლალით, საფირონითა და ზურმუხტით გაფორმებული მილიონერის საშობაო ღვეზელი.

დილაადრიან ადგომა მაინცდამაინც არ მიყვარს. ამიტომაც, როდესაც ადრიანი ფრენა მიწევს, ყოველთვის მაქვს შეგრძნება, რომ ჩამეძინება, რის გამო ღამის მანძილზე ათასჯერ მეღვიძება.

შესანიშნავად გამოიყურებით. რა არის თქვენი საიდუმლო?

ე.შ. არავითარი საიდუმლო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დღეში დაახლოებით ორ ლიტრამდე Evian-ის მინერალურ წყალს ვსვამ, რომელსაც ორი ლიმონის წვენს ვურევ. არაჩვეულებრივია, განსაკუთრებით – მოგზაურობის დროს. ბევრს არ ვვარჯიშობ, თუმცა პილატესით ვარ დაკავებული, რომელიც ზურგისა და სუნთქვისთვის საუკეთესოა. საქმე ისაა, რომ ვარჯიშისთვის ბევრი დროა საჭირო. ზოგჯერ შინ, საღამოს 8 ან 9 საათზე მოვდივარ. თავს ვერ ვაიძულებ ჩავიდე საკუთარ სპორტდარბაზში, მაგრამ თუ ჩემი პერსონალური ინსტრუქტორი იქ არის, მაშინ სხვა გზა არ მაქვს. ძნელია, როცა მარტო ვარჯიშობ – საკუთარი თავის მოტივაცია არცთუ ადვილია.

მოდას თუ მისდევთ?

ე.შ. ძალიან მიყვარს მოდა, გამორჩეული დიზაინერებიც მყავს, თუმცა მოდას არ მივყვები. აი, მაგალითად, ის ფეხსაცმელი, გიგანტურ პლატფორმაზე, არასოდეს მცმია... ჩემთვის ძალიან არაქალურია.

რას ნიშნავს თქვენთვის ფუფუნება?

ე.შ. დრო არის ფუფუნება. დროის ქონა და მეგობრებთან მისი გატარება. ასევე შინ ყოფნაც ჩემთვის გარკვეულწილად ფუფუნებაა.

თქვენი საქმიანობის ყველაზე დადებითი მხარე...

ე.შ. ეს შემოქმედებითი მხარეა. ახალი დიზაინის შექმნა, მასალისა და ფერთა კომბინირების ახალი გზები... კოლექციის შექმნა.

ათი წლის შემდეგ როგორ ხედავთ კომპანია Chopard-ს?

ე.შ. ტექნოლოგიები უფრო განვითარდება. როცა საქმე ჩვენს საათებამდე მივა, ჩვენც ამ ცვლილებებთან შეგუება მოგვიწევს. რაც შეეხება თავად ხელობას, მჯერა, რომ საათების შექმნას ისეთივე ტრადიციული მეთოდით გავაგრძელებთ, როგორც ეს წლების მანძილზე ხდებოდა. ბრილიანტებთან ერთად ეს გახლავთ Chopard-ის არსი.

განსაკუთრებული სურვილები საახალწლოდ...

ე.შ. იცით, ცრუმორწმუნე ვარ, ასე რომ ვერ გეტყვით! თუმცა იმედი მაქვს მსოფ-

Chopard-ის მუზა და ახლო მეგობარი – პეტრა ნემცოვა ქეროლაინს საახალწლოდ ესტუმრა. კომპანიამ მოდელის საქველმოქმედო ორგანიზაციის – Happy Hearts Fund-ის მხარდასაჭერად სპეციალური სამაჯური გამოუშვა.

„პეტრას წლებია ვიცნობ. ახლო მეგობარია... ლამაზია – როგორც გარეგნულად, ასევე შინაგანად... დიდი გულის პატრონია“

ლიოში მშვიდობა დაისადგურებს... ახლა რთული პერიოდია. ვიმედოვნებ, რომ ადამიანები, რომლებიც ძალაუფლებას ფლობენ, დაივიწყებენ პოლიტიკას, საკუთარ ეგოს, და ერთად იმუშავებენ.

ინტერვიუ & სტაილინგი: LOLA DELGADO
ფოტო: ANDREA SAVINI
კოორდინატორები: MARIA MARTINEZ DE MEDINILLA , MARTINEZ DE MEDIERO
ვარცხნილობა & მაკიაჟი: MASSIMO SERINI

„ძალიან პატარა ასაკიდან ვამბობდი, რა მომწონდა და რა არა, ვის რა უხდებოდა ან პირიქით. ალბათ ეს სასაცილო იყო. ყოველთვის მიყვარდა ქსოვილები. არ აქვს მნიშვნელობა ეს ინტერიერის ნაწილი იქნებოდა თუ ტანსაცმელი“

„ბევრს დავდივარ. დილით ქუჩაში მუსიკის თანხლებით გავდივარ. მხვდებიან საინტერესო ადამიანები, ქსოვილების მაღაზიები. ყოველთვის სიურპრიზებია. ყველაზე ძალიან, მოგზაურობა საკუთარ თავში მიყვარს. ზოგჯერ ფილმებში, წიგნებში. როდესაც კითხულობ, პერსონაჟებთან, მწერლებთან ერთად ცხოვრობ. ხდება ისე, რომ აწყდები მწერალს, რომელიც იმას წერს, რაც შენ გინდა რომ არსებობდეს, რაც წარმოგიდგენია. ეს რა თქმა უნდა ძალიან საინტერესოა“.

დიზაინერი, რომლის პროფესია ბავშვობიდან განსაზღვრული იყო

ჯაბა დიასამიძე

HELLO!-ს პირველ და ბოლო კოლექციებზე, მუზებზე და მოგზაურობაზე ესაუბრა

მოდის მოყვარულთა სამყაროს საკუთარი თავი 16 წლის ასაკში, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას გააცნო - კოლექციით, რომელიც ერთგვარი მიძღვნა იყო

ნარმოიდგინეთ პატარა ბიჭი, რომელიც გარშემომყოფების ჩაცმულობას, ტანსაცმლის ფერებს, ფორმებს აკვირდება და მხოლოდ ბავშვებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული გულახდილობით აფიქსირებს აზრს ამასთან დაკავშირებით. შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი ბაბუა იყო განსაკუთრებული სტილით, ან დიდი ბებია, რომელსაც სამკერვალო ჰქონდა პარიზში. ან იქნებ გარშემომყოფი მშვენიერი ქალბატონები და გარემოცვა, სადაც ძალიან უყვარდათ ხელოვნება. სავარაუდოდ ყველაფერმა ერთად განაპირობა ის, რომ დღეს მის ჩვენებებს თბილისში მოუთმენლად ელიან და განსაკუთრებული დღეების გატარება სწორედ მის სამოსში სურთ. ეს ჯაბა დიასამიძეა, რომლის სამოსსაც ადამიანებთან დღესასწაულის განცდა მიაქვს.

„ძალიან პატარა ასაკიდან ვამბობდი რა მომწონდა და რა არა, ვის რა უხდებოდა ან პირიქით. ალბათ ეს სასაცილო იყო. ყოველთვის მიყვარდა ქსოვილები. არ აქვს მნიშვნელობა ეს ინტერიერის ნაწილი იქნებოდა თუ ტანსაცმელი. ვფიქრობდი რომელია კარგი მატერია, ლამაზი ფერი. შეიძლება გენეტიკურად გადადის ყველაფერი. ბაბუაჩემს განსაკუთრებული სტილი ჰქონდა. დიდი ბებია სამკერვალოს ამუშავებდა პარიზში. ჩემს ოჯახში ჩამოყალიბებული სტილი ჰქონდათ. უყვარდათ მხატვრობა, ხელოვნება. ეს ყველაფერი ადამიანში შემოქმედებას ავითარებს“.

მოდის მოყვარულთა სამყაროს საკუთარი თავი 16 წლის ასაკში, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას გააცნო – კოლექციით, რომელიც ერთგვარი მიძღვნა იყო.

„ერთია ვიღაცას ურჩიო რა უხდება და მეორეა თავად შექმნა სამოსი. მაშინ სკოლაში ვსწავლობდი. მშობლები ძალიან დამეხმარნენ, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ჩემ გარშემო ყოველთვის იყვნენ ქალები, რომლებზეც ვგიჟდებოდი – იქნებოდა ეს ჩემი მეგობარი, რუსულის მასწავლებელი, თუ ნანი ბრეგვაძე, რომელსაც ბავშვობიდან აღფრთოვანებით ვუყურებდი. ჩემი პირველი ჩვენება სწორედ მან გახსნა. ეს კოლექცია ერთგვარი პატივისცემის გამოხატვა იყო ყველა ამ ქალის მიმართ“.

ტრადიცია გრძელდება. თუ სხვა დიზაინერთა ნამუშევრებს მოდელები წარადგენენ, ჯაბა დიასამიძის შემთხვევაში პოდიუმზე მუზები გამოდიან, რომელთა შორის არიან მისი მშვენიერი მეგობრები, პროფესიონალი მოდელები და ქალბატონები, რომლებმაც შთააგონეს.

„პატივს ვცემ ყველა მოდელს დედამიწაზე. უბრალოდ მინდა გადმოვცე სრული ინფორმაცია, რომელიც შთაგონების მომენტში მქონდა. შესაბამისად ჩვენებისთვის ვირჩევ ადამიანებს, რომლებზეც სამოსის შექმნის მომენტში ვფიქრობდი.

„ჩემ გარშემო ყოველთვის იყვნენ ქალები, რომლებზეც ვგიჟდებოდი - იქნებოდა ეს ჩემი მეგობარი, რუსულის მასწავლებელი თუ ნანი ბრეგვაძე, რომელსაც ბავშვობიდან აღფრთოვანებით ვუყურებდი. ჩემი პირველი ჩვენება სწორედ მან გახსნა“

ის, რაც მათ აერთიანებთ, არის ელეგანტურობა, შარმი. მათ მოსდევთ ძალა და თავისუფლება. საერთოდ, რასაც პატივს ვცემ და რისთვისაც ბრძოლაშიც კი წავიდოდი, თუ საჭირო გახდება, ეს ქალების თავისუფლებაა“.

რთულია მისი სტილი სხვაში აგერიოს. თავის დროზე ამ სტილის ჩამოყალიბებაში უბრალო ნაცნობებმა, ახლო ადამიანებმა და მოდის სამყაროს მეტრებმა თანაბარი როლი ითამაშეს.

„ჩემი სტილის ჩამოყალიბებაში ნამდვილად დიდი როლი ითამაშეს ქალებმა, რომლებიც გარშემო იყვნენ – დედა, მისი მეგობრები, ბებიები. რა თქმა უნდა მყავდნენ და მყავს ჩემთვის გამორჩეული მოდის სამყაროს მეტრები. მაგალითად HUBERT DE GIVENCHY, BALENCIAGA. ვცდილობ გავითვალისწინო ის, რაც მათ ჩვენს პროფესიაში შემოიტანეს. არ მგონია ამის დაკარგვა კარგი აზრი იყოს, იმიტომ, რომ მათი დამსახურებით ძალიან დიდი წინსვლა მოხდა პროფესიაში, რომელიც არ არის ძალიან ძველი. პირველი მოდის სახლი – პრეცედენტი, როცა ადამიანი ხელს აწერს საკუთარ სამოსს, დაახლოებით მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან არსებობს. მას შემდეგ რა აღარ მოხდა. განვითარდა ქალის როლი და მას მოდა მიჰყვა. მუდამ ვფიქრობ, რომ თუ წარსულში ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, შემდეგში ეს მე უნდა გავაკეთო“.

როგორც თვითონ ამბობს, ყოველი წინა კოლექცია შემდეგისკენ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა არსებობს რთული და საშიში პერიოდები.

„ყველა ხელოვანს ეშინია, რომ დადგება დღე, როდესაც შთაგონება აღარ მოვა. არის შემთხვევები, როდესაც შეიძლება ახალი იდეა ორი თვის განმავლობაში არ გაჩნდეს. ხშირად ეს პერიოდი ზაფხულს ემთხვევა. ძალიან მიყვარს დასვენება, გართობა, იტალია. ამ დროს მუდამ ვფიქრობ იმაზე, რომ უახლოეს მომავალში ჩემს ტვინში შესაძლოა არაფერი მოხდეს. ეს არ მაძინებს. საბოლოო ჯამში, არავინ იცის როგორ, საიდან, მაგრამ თენდება და მოდის ათასი აზრი. ვიღაც ამას მფარველ ანგელოზს ეძახის, ვიღაც – ღმერთს. ფაქტია, რომ ფაქიზად დაგვაქვს რაღაც ძალა, იმიტომ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, რომლის უპატივცემლობა არ შეიძლება“.

ინსპირაციის პოვნაში ყველაზე მეტად საინტერესო ადგილები და ახალ ადამიანებთან შეხვედრა ეხმარება. ფაქტია, რომ პარიზში, სადაც ის ცხოვრობს, სწორედ ასეთი – სიურპრიზებით სავსე ყოველდღიურობაა.

„ბევრს დავდივარ. დილით მუსიკით გავდივარ ქუჩაში. მხვდებიან საინტერესო ადამიანები, ქსოვილების მაღაზიები. ყოველთვის სიურპრიზებია. ყველაზე ძალიან, მოგზაურობა საკუთარ თავში მიყვარს. ზოგჯერ ფილმებში, წიგნებში. როდესაც კითხულობ, პერსონაჟებთან, მწერლებთან ერთად ცხოვრობ. ხდება ისე, რომ აწყდები მწერალს, რომელიც იმას წერს, რაც შენ გინდა რომ არსებობდეს, რაც წარმოგიდგენია. ეს რა თქმა უნდა ძალიან საინტერესოა. მაგალითად პრუსტს ჰქონდა ქრონიკა ფიგაროში, სადაც ყვებოდა მაღალი საზოგადოების წვეულებებზე: ვისთან იყო სტუმრად, ვინ შემოდიოდა, ვინ გადიოდა, როგორ გამოიყურებოდნენ სტუმრები, რა ხდებოდა. აღწერილია კაბები. პრუსტს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა სამოსთან. ჰყავდა მუზები – ცნობილი პარიზელი ქალბატონები, რომელთა ფოტოებიც არსებობს. ძალიან მო- ▶

„პატივს ვცემ ყველა მოდელს დედამიწაზე. უბრალოდ მინდა გადმოვცე სრული ინფორმაცია, რომელიც შთაგონების მომენტში მქონდა. შესაბამისად ჩვენებისთვის ვირჩევ ადამიანებს, რომლებზეც სამოსის შექმნის მომენტში ვფიქრობდი“

„ყველა ხელოვანს ეშინია, რომ დადგება დღე, როდესაც შთაგონება აღარ მოვა. არის შემთხვევები, როდესაც შესაძლოა ახალი იდეა ორი თვის განმავლობაში არ გაჩნდეს“

მინდებოდა, რომ ყველა ამ ქალს ჩემი სამოსი სცმოდა“.

ალბათ ისე გამოვიდოდა, რომ ამ წვეულებაზე უმრავლესობას შავი კაბა ეცმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯაბას უახლესი კოლექცია გაფერადდა და შავ-თეთრ სამოსში ფერები შეიჭრა, ფაქტია – შავს მისთვის კონკურენტი უბრალოდ არ ჰყავს.

„ფერები მიყვარს. მხატვრობაში სწორედ ფერების ურთიერთობა მაგიჟებს. აქამდე ჩემი კოლექციები ძირითადად შავ-თეთრი იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ ფერების შემოსვლის დრო მოვიდოდა. ბოლო კოლექციაში ასეც მოხდა. და კიდევ რამდენი ფერია წინ... რაც შეეხება შავს, ერთი შეხედვით ყველაზე მარტივად გამოსაყენებელი ფერია, მაგრამ არცერთ შეცდომას „არ გაპატიებს“. ფანქარივით არის – სილუეტის შექმნაში გეხმარება. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხი. თუ შავმა ელეგანტურობა დაკარგა, უხარისხო ხდება. ერთმა დეტალმა შესაძლოა სამოსი გოთიკური გახადოს, რაც ძალიან არ მიყვარს. სულ არის ეს სირთულე ფერთან, რომელიც ძალიან მიყვარს. პრინციპში შემიძლია ვთქვა, რომ ამ სიყვარულს ისიც კარგად მიბრუნებს“.

რომელი ფერები შემოვა მის შემოქმედებაში მომავალში, ამას მომდევნო სეზონზე გავიგებთ. რაც უკვე ვიცით, ის არის, რომ კოლექციის იდეა და კონცეფცია უკვე არსებობს. **H**

ტექსტი:
მაკო მჭედლიშვილი
ფოტო: ლეკო ჭყონია
სტილი:
თეონა ელიზაბარაშვილი
მაკიაჟი: NATALI



სალონი-მაღაზია **PROF BEAUTY**, ა. თვალჭრელიძის ქ. 2
სავაჭრო-გასართობი ცენტრი „ისთ ფოინთი“
facebook.com/professionalbeauty.ge

ოფიციალური წარმომადგენელი
PROF BEAUTY

სალომე კორკოტაშვილი

SONGBUILDER STUDIO-ს კონკურსის გამარჯვებულია

„ძალიან გვიხარია გამოვაცხადოთ ჩვენი 2016 წლის კონკურსის გამარჯვებული. ეს გახლავთ პოპისა და ნეოსოულის ქართველი შემსრულებელი – SALIO. მისი ავთენტური, ნამდვილი და ემოციური ჟღერადობით თავიდანვე მოვიხიბლეთ. ვერაფერი ვერ აღგვაფრთოვანებდა და ვერ გაგვახარებდა იმ ფაქტზე მეტად, რომ ასეთ ნიჭიერ არტისტთან მოგვიწევს მუშაობა“, – ასე გამოეხმაურა ამერიკული ხმის ჩამწერი სტუდია **SONGBUILDER STUDIO** ახალგაზრდა მუსიკოსებისა და კომპოზიტორების ყოველწლიურ კონკურსში სალომე კორკოტაშვილის გამარჯვებას.

კონკურსში, რომელშიც მსოფლიო მასშტაბით 15 000 ახალგაზრდა მუსიკოსი პირველობის მოპოვებას ცდილობდა, სალომემ, როგორც კომპოზიტორმა, სიმღერით **WAYSIDE** გაიმარჯვა.

მომღერალი ამ ეტაპზე აქტიურად მუშაობს ახალი კომპოზიციების შექმნასა და დაწერაზე, რომლიდანაც ერთ-ერთს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მერილენდში მდებარე ხმის ჩამწერ სტუდიაში ჩაწერს. სალომეს იქ მუშაობა მოუწევს **GRAMMY**-ზე ნომინირებულ ისეთ პროდიუსერებთან და ხმის რეჟისორებთან ერთად, რომლებსაც ნამუშევარი აქვთ **მაილი საირუსთან**, **ბრიუს სპრინგსტინთან**, **გარი კლარკთან** და **Smashing Pumpkins**-თან.

სალომე კორკოტაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში თებერვლის დასაწყისში გაემგზავრება. **SONGBUILDER STUDIO**-ში ჩაწერილი ახალი სინგლი სხვადასხვა მუსიკალურ სასწავლებელში დაიგზავნება და აშშ-ის 100 სხვადასხვა რადიოტალღაზე გაჟღერდება და დატრიალდება.

ფოტოები: ზურა მასხარაშვილი, **ფოტო:** ბუჩი ტაბატაძე.

ჯგუფი YOUNG GEORGIAN LOLITAZ

ახალ ალბომზე მუშაობს

ნიკა კოჩაროვი და მისი ჯგუფი **YOUNG GEORGIAN LOLITAZ** ახალ სიმღერებზე მუშაობენ. ფრონტმენის სიტყვებით, სიმღერები ახალ დიკსში შევა, რომელიც რამდენიმე ძველ, გამოუცემელ კომპოზიციას გააერთიანებს. ცოტა ხნის წინ ჯგუფმა მუშაობა დაასრულა სიმღერაზე **DARK DEVICE**, რომელიც სინგლადაც გამოვა. ამ სიმღერაზე მუსიკოსები ვიდეოს გადაღებასაც გეგმავენ, რომელიც ისეთივე არასტანდარტული იქნება, როგორც თავად სიმღერა. კლიპის რეჟისორად **VINDA FOLIO** მოიაზრება.

„***DARK DEVICE** ყოველ ადამიანში არსებულ ბნელ მხარეზეა. ამ სიმღერაში ყველა ნახავს სათავისო რამეს, თუმცა გამაერთიანებელი მაინც ის პატარა "ეშმაკია„, რომელიც ყველა ჩვენგანში ზის"*, – ამბობს ჯგუფის ფრონტმენი - ნიკა კოჩაროვი.

პირველი სტუდიური ალბომი **LEMONJUICE YGL**-მა 2004 წელს გამოუშვა. მას 2005 წელს გამოცემული **RADIOLIVE** მოჰყვა. 2010 წლის 7 ივნისს კი გამოვიდა ე.წ. **EP-დისკი LAVA**, სადაც ექვსი ტრეკი შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსებს ალბომის გამოშვების თვალსაზრისით საკმაოდ დიდი შემოქმედებითი პაუზა გამოუვიდათ, ამჯერად ისინი ახალ ეტაპზე არიან და სტუდიაში აქტიურად მუშაობენ.

„***სევდიანი და ამავდროულად ნაყოფიერი პერიოდი მაქვს"***, – ამბობს ნიკა, – ***და ეს ჩემ მუსიკასა და სიმღერების ტექსტებზეც აისახება. ვიმედოვნებ ახალი სიმღერები ჩვენი მსმენელის მოწონებას დაიმსახურებს"***.

ჯგუფს კიდევ ერთი სიახლე აქვს – ახალი გიტარისტი **გიორგი ტიკარაძე**, რომელმაც „**ლოლიტების**" დიდი ხნის წევრი **ლევან შანშიაშვილი** შეცვალა. გიორგის სიტყვებით, ის სწორ ადგილას მოხვდა და მუსიკა, რომელსაც ამჟამად ასრულებს, მისთვის ახალი გამოწვევაა.

შეგახსენებთ, რომ **YOUNG GEORGIAN LOLITAZ** 15 წლის წინ შეიქმნა. შარშან კი ჯგუფმა ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველო სიმღერით **MIDNIGHT GOLD** წარადგინა.

ტექსტი: ლულუ ჯახნანი. **ფოტო:** ბაჩი ბაბუაძე.

თვის დღიური

თბილისს HENNESSY-ის ამბასადორი ეწვია

თბილისს **HENNESSY**-ს სახლის ბრენდამბასადორი ესტუმრა და **სასტუმრო „ამბასადორში“** შეკრებილ სტუმრებს ბრენდის განსაკუთრებული გემოს საიდუმლო გაანდო. ვახშამზე დამსწრე აუდიტორიამ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კონიაკის რამდენიმე სახეობა დააგემოვნა და **HENNESSY X.O**-ს ოდისეაზე გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი იხილა. გარდა ამისა, ბრენდამბასადორმა განსაკუთრებულ სტუმრებსა და მედიის წარმომადგენლებს კონიაკის დაყენების ყველა საკვანძო ეტაპი დეტალურად გააცნო.

HENNESSY X.O-ს ოდისეაზე გადაღებული ფილმის ავტორი ნიკოლას ვინდინგ რეფნია. მის ნამუშევარში მკაფიოდ ჩანს ყველა ის ელემენტი, რომელიც ამ კონიაკს დანარჩენებისგან გამოარჩევს. „**HENNESY X.O**-ს თითოეული წვეთი ოდისეაა“, – სწორედ ესაა მასშტაბური კამპანიის მთავარი სათქმელი.

*„**HENNESY**-ზე ფილმის შექმნა ჩვენი ამბის გადმოცემის ახლებური გზაა, რომელიც ვიზუალურ ხელოვნებაზე გადის. ნამუშევარი გაცილებით უფრო მეტს გადმოსცემს, ვიდრე სიტყვები. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერია, რომ მაყურებლები კონიაკის გემოს მის გასინჯვამდეც კი შეიგრძნობენ. **HENNESSY X.O** ყოველთვის იყო და იქნება თავგადასავლებისა და აღმოჩენების საწყისი. არ დაივიწყოთ მთავარი მესიჯი: **DON'T WAIT TO EXPERIENCE GREATNESS**“*, – აღნიშნა საუბრისას ბრენდამბასადორმა.

თვის დღიური



CARRERA Y CARRERA თბილისშია

ააღაზია **CHRONOGRAPH**-ს, რომელიც უკვე 4 წელია მომხმარებელს ექსკლუზიური საიუველირო ნაწარმის კოლექციებსა და საათებს სთავაზობს, პრემიუმკლასის ესპანური ბრენდი **Carrera Y Carrera** შეემატა. ბრენდი, რომელიც 130 წელს ითვლის, საუცხოო საიუველირო ნაკეთობებით გამოირჩევა და მსოფლიო მასშტაბით ტოპ-30 ყველაზე პრესტიჟულ საიუველირო ბრენდთა სიაში შედის. ფუფუნების სიმბოლოდ ბრენდი განსაკუთრებულმა სტილმა და სამკაულების მიმართ შემოქმედებითმა მიდგომამ აქცია.

CARRERA Y CARRERA

„ლუტეცია“ ფართი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში „**ლუტეცია ფართი – 2016**“ გაიმართა. „წითელი ხალიჩა,,, ლუქსხაზის საჩუქრები და პატარა ბალერინები, რომლებიც სტუმრებს ე.წ. ნიშბრენდულ პარფიუმერიას აცნობდნენ, საღამოს განსაკუთრებულ პომპეზურებას სძენდნენ.

„ლუტეცია-ჰგუფის“ ყველაზე არომატული საღამო **მიხაილ ფოკინის** საბალეტო დადგმებით დასრულდა, რომელშიც ქართველი პრიმაბალერინა **ნინო ანანიაშვილი** იღებდა მონაწილეობას.

YVES ROCHER
FRANCE

intimissimi
CALZEDONIA
ITALIAN LEGWEAR

Iris Prima
Iris Prima

საახალწლო საჩუქარი **HELLO!**-სგან

პირველი 5 გამომწერი

საჩუქრად მიიღებს
განსაკუთრებული
არომატის
ESTÉE LAUDER-ის
ახალ სუნამოს **LUTECIA**-სგან

HELLO!
GEORGIA

გამოიწერეთ ფასდაკლებით

38₾ ერთი წლით / **21₾** ექვსი თვით

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით
HELLO!
თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს. შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება **HELLO!**-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

ოლივია პალერმომ ამ საკმაოდ საინტერესო LOOK-თან პლატფორმებისა და პატარა ჭაობისფერი ჩანთის ტარება არჩია, რაც საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა ფერთა შეხამების კუთხით.

ტექსტი: თამთა ლუბანელი. **ფოტო:** GETTY IMAGES.

SHOPPING

GET THE LOOK!

ოლივია პალერმომ CHIC SPORTSWEAR-ის ტრენდს ფეხი საკმაოდ ორიგინალურად აუწყო. ცნობილმა ამერიკელმა IT GIRL-მა **სპორტულ სტილს** სრულიად კონტრასტული **კლასიკური** შეუხამა. Military სტილის შლაქსთან ოლივიამ ბეწვის დახვეწილი ჟილეტი და შავი, ყელიანი სვიტერი მოირგო. **სპორტულისა** და **კლასიკურის** საკმაოდ განსხვავებული სინთეზი ბოლო დროს ქუჩის მოდის წამყვანი ტრენდი გახდა, რასაც პოპულარულ კულტურაში **VETEMENTS**-ის ეფექტსაც უწოდებენ.

1. სათვალე **WESTWARD LEANING** 731₾ **shopbop.com; 2.** ფრჩხილების ლაქი **GUERLAIN** 69₾ **sephora.com; 3.** ბეწვის ჟილეტი **YVES SALOMON** 4392₾ **farfetch.com; 4.** როლინგი **CHRISTIAN SIRIANO** 2405₾ **farfetch.com; 5.** შარვალი **STELLA MCCARTNEY** 1841₾ **net-a-porter.com; 6.** ტელეფონი **IPHONE7** 1726₾ **apple.com; 7.** ფეხსაცმელი **GIANVITO ROSSI** 1638₾ **matchesfashion.com; 8.** ჩანთა **VALEXTRA** 6589₾ **matchesfashion.com**

ZARA
კაბა
129₾
zara.com

TAMUNA INGOROKVA
ბლუზი
500₾

BESSARION
პიჯაკი
650₾

ERDEM
კაბა
1 520₾
net-a-porter.com

OSCAR DE LA RENTA
ბეჭედი
777₾
net-a-porter.com

FASHION

Winter FLOWERS

ყვავილებიანი პრინტები ნებისმიერ ფაქტურასა და სტილზე – ამ სეზონზე ყველაზე საზაფხულო ტრენდი საახალწლოდაც აქტუალურია

ზამთრის ყვავილები თბილ ლაბადებთან, ქურთუკებთან და ნაქსოვ სვიტერებთან ერთად, შიფონის სადღესასწაულო კაბებსა და აქსესუარებსაც გაგილამაზებთ. მაქსიმალურად ფერადი Look-ები **VETEMENTS**-ისა და **BALENCIAGA**-ს სტილში, **CHRISTOPHER KANE**-ის ნაქსოვი ყვავილები ზოლიან ბლუზაზე, **GIAMBATTISTA VALLI**-ს მონოქრომული იისფერი ლაბადა და ამ ტონისვე მაქმანებიანი კაბა ყვავილებით, საახალწლო წვეულებების Outfit-თან ერთად, ზამთრის Casual-სამოსადაც შეგიძლიათ აქციოთ.

KUBORAUM
სათვალე
2 118₾
farfetch.com

LANVIN
საყურე
1 027₾
net-a-porter.com

CHRISTOPHER KANE
სვიტერი
760₾
net-a-porter.com

MIUMIU
ფეხსაცმელი
2 855₾
matchesfashion.com

BERSHKA
კაბა
89₾
bershka.com

TAMUNA INGOROKVA
კაბა
650₾

ZARA
კაბა
129₾
zara.com
ZUHAIR MURAD
F/W 16/17
LALO
F/W 16/17
BESSARION
F/W 16/17
VETEMENTS
F/W 16/17
ELIE SAAB
F/W 16/17
BALENCIAGA
F/W 16/17
CHRISTOPHER KANE
F/W 16/17

DUVETICA
ქურთუკი
1388₾
farfetch.com

KETI CHKHIKVADZE
ლაბადა
1 500₾

AVTANDIL
ქურთუკი
230₾

AVTANDIL
ქურთუკი
280₾

FASHION

Puffer JACKET

TORY BURCH
F/W 16/17

STELLA MCCARTNEY
F/W 16/17

EMILIO PUCCI
F/W 16/17

BALENCIAGA
F/W 16/17

ACNE STUDIOS
F/W 16/17

CHANEL
F/W 16/17

STELLA MCCARTNEY
ქურთუკი
3 242₾
net-a-porter.com

TOPSHOP
ქურთუკი
233₾
topshop.com

როდესაც დემნა გვასალიამ მარტში BALENCIAGA-ს კრეატიული ხელმძღვანელის რანგში საზოგადოებას პირველი კოლექცია წარუდგინა, ალბათ თავად დიზაინერიც არ ელოდა, რომ მისი შექმნილი ქურთუკი გლობალური ფენომენი გახდებოდა

წითელი ე.წ. „**გაბერილი ქურთუკი**“ ელვის სისწრაფით იქცა Street style-ფავორიტად და პოდიუმიდან პირდაპირ ჩვენს გარდერობებსა და ვიტრინებში გადმოინაცვლა. ქართველმა დიზაინერმა დაგვარწმუნა, რომ „გაბერილი ქურთუკი“ მხოლოდ სათხილამურო კურორტებზე არ უნდა გვეცვას. დემნას მსგავსად, Puffer Jacket უხვად ვიხილეთ **TORY BURCH**-ის, **STELLA MCCARTNEY**-სა და **CHANEL**-ის კოლექციებში.

M.I.H JEANS
ზამშის ქურთუკი
3 242₾
net-a-porter.com

UGG
აგები
611₾
ugg.com

GIADA BENINCASA
ზამშის ქურქი
6 967₾
farfetch.com

MARNI
ზამშის ჟილეტი
8 751₾
net-a-porter.com

FASHION

Biker JACKET

„გაბერილი ქურთუკების“ მსგავსად, ე.წ. „დუბლიონკის“ (იგივე ტყაპუჭის) მოდაში დაბრუნებაც დემნა გვასალიას დამსახურებაა

Biker Jacket ბეწვითა და ტყავით, მიმდინარე ზამთრის ყველაზე ტრენდული და ამავდროულად კომფორტული აქსესუარია. **BALENCIAGA** მოდურ ქურთუკებს გრძელი საყელოთი და უხეში ელვით გვთავაზობს, **BURBERRY**-ს Biker Jacket ბოლოში გაშვებული მკლავებითაა გამორჩეული, **CHLOE**-ს „დუბლიონკა“ კი პონჩოს სტილშია გადაწყვეტილი.

BURBERRY F/W 16/17

BALENCIAGA F/W 16/17

VINCENZO ALLOCCA
ზამშის ქურქი
550₾
navabi.co.uk

MOU
აგები
547₾
ssense.com

BURRBERY
აგები
1 128₾
net-a-porter.com

UGG
ჩანთა
704₾
ugg.com

BURBERRY F/W 16/17

CHLOE F/W 16/17

CARVEN
ზამშის ქურთუკი
3 434₾
net-a-porter.com



ROSANTICA
ოქროს ტონალობის
სამაჯური

JIMMY CHOO
გამოსასვლელი კლატჩი

TAMUNA INGOROKVA
კაბა ცეხინებით

GIANVITO ROSSI
Party ფეხსაცმელი

KENNETH JAY LANE
მოოქროვილი
ბროლისა და
მარგალიტის
საყურე

CHRISTIAN LOUBOUTIN
კლასიკური ფეხსაცმელი

ROSANTICA
ოქროს ტონალობის
კვარცის საყურეები

ROLAND MOURET
შემოხვეული ეფექტის
lamé კაბა

JIMMY CHOO
კლასიკური სტილეტო

JIMMY CHOO
ჰოლოგრაფიული
მეტალის კლატჩი

FASHION

RED CARPET

ყველაზე გლამურული წვეულებებისთვის შესაბამისი სამოსის შესარჩევად, „ოსკარისა“ და MET GALA-ს „წითელი ხალიჩა“ დაგვეხმარებათ. გადაავლეთ თვალი ვარსკვლავების ჩაცმულობას და აიღეთ ინსპირაცია მათი სტილისგან.

ZARA
ყვავილებიანი კაბა
70-იანი წლების სტილში

VIVIENNE WESTWOOD
მასიური ბეჭედი

GUCCI
ფეხსაცმელი ბეწვითა და
მეტალის რგოლებით

ETRO
ბოჰემური MAXI კაბა

RAG&BONE
ბეჟი ტონალობის
ფედორა

ETRO
მასიური სამაჯური
თვლებით

MAISON MICHEL
Statement შლაპა

CHLOE
ჩანთა მეტალის დეტალებითა
და ფოჩებით

ZARA
ხავერდის შუზი
მსხვილი ქუსლით

FASHION

BOHO CHIC

შეხვდით ახალ 2017 წელს 1970-იანების საკულტო ეპოქის სტილში. ბოჰემური სტილი და ჰიპების ჩაცმულობით ინსპირირებული LOOK-ები ყოველთვის მოდური და აქტუალურია.

CHANEL
ოქროს დელიკატური საყურე

ETRO
მაღალწელიანი გამოსასვლელი შარვალი

CHRISTIAN DIOR
სათვალე

NARS
ჩრდილები სადღესასწაულო ფერებში

SAINT LAURENT
კოქტეილის კაბა ცალი მკლავით

ALYX
შუზი მსხვილი ქუსლით

CHANEL
მასიური საყურე 80-იანების სტილში

CARTIER
მბზინვარე ოქროსფერი ქამარი

MOSCHINO
Statement კლატჩი ფერადი პრინტებით

CHANEL
კლასიკური კლატჩი მარგალიტის დეტალებით

JIMMY CHOO
ბრჭყვიალა Party სანდლები

FASHION

80's AESTHETICS

გასულ სეზონზე 1980-იანი წლების ესთეტიკა მოდაში ტრიუმფალურად დაბრუნდა. ნეონის ფერები, ლაქი და ტყავი, თამამი სილუეტები და ბევრი მბზინვარება სადღესასწაულო წვეულებებს კიდევ უფრო გაგილამაზებთ.

TONELLO
კლასიკური მაღალწელიანი შარვალი

ESHVI
ორიგინალური ფორმის ბეჭედი

ROSANTICA
მასიური სამაჯური

GUCCI
მკაცრი სტილის პიჯაკი

SOLACE LONDON
კლასიკური კაბა ცალ ბრეტელზე

TOPSHOP
გამოსასვლელი კომბინეზონი

ESHVI
მინიმალისტური კოლიე

ESHVI
Statement ლავა საყურე

JIMMY CHOO
კლასიკური ქუსლიანი ფეხსაცმელი

SAINT LAURENT
კლასიკური კლატჩი

BALMAIN
ხავერდის შუზი წვრილ ქუსლზე

FASHION

MINIMALISM

მინიმალისტური სტილი საახალწლოდ განსაკუთრებით მომგებიანი და ეფექტურია. შეუხამეთ სადა კაბას ან კომბინეზონს თამამი აქსესუარები, სამკაულები, STATEMENT-ფეხსაცმელი და კლატჩი. იყავით ერთდროულად მოკრძალებული და გამორჩეული.

ACCESSORIES

Radiant GOLD

ოქრო ძვირფას მეტალებს შორის ყველაზე გამორჩეული და განსაკუთრებულია. ანტიკური ხანიდან დღემდე, ოქროს საიუველირო ნაწარმი ყველაზე დელიკატური და მნიშვნელოვანი საჩუქარია ნებისმიერი ქალბატონისთვის.

CHOPARD
თეთრი ოქროს ყელსაბამი
ბრილიანტებით

LOUIS VUITTON
თეთრი ოქროს
ბეჭედი ძოწითა და
ბრილიანტებით

DINH VAN
თეთრი ოქროს
სამაჯური

ACCESSORIES

Diamonds are FOREVER

თუ მერილინ მონროს დავუჯერებთ, ბრილიანტი ყველა ქალბატონის საუკეთესო მეგობარია. ძვირფას ქვებს შორის განსაკუთრებით დელიკატური და მბზინვარე, ამასთანავე – ყველაზე სიმბოლურიცაა.

YANES
თეთრი ოქროს ბეჭედი
თეთრი ტოპაზითა და
ბრილიანტებით

MARILISI
Georgian Jewelry House
თეთრი ოქროს ნიშნობის
ბეჭედი ბრილიანტებით

TIFFANY & CO.
თეთრი ოქროს ბეჭდები
ბრილიანტით

PERODRI
თეთრი ოქროს საყურე
შავი ბრილიანტებით

ANSORENA
თეთრი ოქროს ნიშნობის
ბეჭედი ბრილიანტით

MARILISI
Georgian Jewelry House
თეთრი ოქროს ბეჭედი
ბრილიანტებით,
ფრანგული შატონი

YANES
თეთრი ოქროს ბეჭედი
ბრილიანტებით

PANDORA
ვერცხლის ბეჭედი
ცირკონებით

ACCESSORIES

Emerald DREAM

ზურმუხტი ინდოეთში სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოა. უძველესი ისტორიის მქონე ქვა, რომელიც კლეოპატრას ავგაროზიც კი იყო, თანამედროვე სამკაულებსაც ამშვენებს. ზურმუხტი განსაკუთრებით ეფექტურია თეთრ ოქროსთან და ბრილიანტთან კომბინაციაში.

LOUIS VUITTON
ოქროს საყურე
მწვანე ძოწით

MARILISI
Georgian Jewelry House
ბეჭედი ბრილიანტებითა და
მწვანე ტურმალინებით

ANSORENA
თეთრი ოქროს
ყელსაბამი ნეფრიტით

BULGARI
ოქროს საყურე
ბრილიანტებითა
და ზურმუხტით

DIOR
საყურე თეთრი
ბრილიანტებითა და ზურმუხტით

MARILISI
Georgian Jewelry House
ბეჭედი ბრილიანტებითა
და ზურმუხტებით

CHANEL
ბეჭედი თეთრი და
ნარინჯისფერი
ბრილიანტებითა და
ზურმუხტით

MARILISI
Georgian Jewelry House
ბეჭედი ბრილიანტებითა
და ზურმუხტებით

CHOPARD
თეთრი ოქროს
ბეჭედი ზურმუხტით

MARILISI
Georgian Jewelry House
ბეჭედი ალმასებითა და
ზურმუხტებით

SUÁREZ
ვარდისფერი ოქროს ბეჭედი
ტურმალინითა და ბრილიანტებით

RABAT
ვერცხლის ბეჭედი
მწვანე კვარცით

MARILISI
Georgian Jewelry House
დიადემა
ბრილიანტებით
და ტოპაზით

MARILISI
Georgian Jewelry House
საყურე
ბრილიანტებით
და ტოპაზით

SUÁREZ
ვერცხლის
დელიკატური ბეჭედი
მასიური ტოპაზის ქვით

DIOR
ვარდისფერი და ყვითელი
ოქროს საყურე
ბრილიანტებითა და
საფირონებით

MARILISI
Georgian Jewelry House
ვერცხლის ბეჭედი
მოოქროვებით
ტოპაზებითა და ციტრინებით

TIFFANY & CO.
სამაჯურისა და ბეჭდის
დელიკატური ანსამბლი
ბრილიანტებითა და
საფირონებით

BULGARI
თეთრი ოქროს ბროში
საფირონებითა და
ბრილიანტებით

MONTEJO
თეთრი ოქროს
საყურე
ბრილიანტებითა
და ტანზანიტით

ACCESSORIES

Magic OCEAN

ცისფერი ყველაზე მშვიდი და ჰარმონიული ფერია, ლაჟვარდისფერი საფირონი კი ერთ-ერთი ყველაზე დელიკატური და დახვეწილი ქვაა ბუნებაში. ლურჯი მინერალის მაგიური ენერგეტიკა ჯერ კიდევ ანტიკურ რომში აღმოაჩინეს, თანამედროვე მსოფლიოში კი საფირონი ერთ-ერთ უძვირფასეს ქვადაა მიჩნეული.

MARILISI
Georgian Jewelry House
ბეჭედი აქვამარინითა
და მარგალიტებით

CHOPARD
ოქროს ყელსაბამი ცრემლის ფორმის
ბრილიანტებითა და საფირონებით

YANES
გრძელი თეთრი ოქროს
საყურე ტოპაზებითა და
ბრილიანტებით

MARILISI
Georgian Jewelry House
ოქროს ყელსაბამი
ტურმალინებით

MARILISI
Georgian Jewelry House
ოქროს ყელსაბამი
ძვირფასი ქვებით

CARTIER
ბეჭედი ლილაქვითა
და ბრილიანტით

ACCESSORIES

Multicolor JEWELRY

რატომ უნდა შეაჩეროთ არჩევანი ერთ ტონზე, როდესაც შეგიძლიათ სამკაულად ძვირფასი ქვების მთელი ცისარტყელა ატაროთ? იყავით თამამი და მოირგეთ გამორჩეული აქსესუარები. თქვენ ამას იმსახურებთ!

SERGEY ZHERNOV
სამაჯური
მინერალებით

DIOR
საყურეები თეთრი და
ვარდისფერი ბრილიანტებითა
და ლურჯი საფირონით

SERGEY ZHERNOV
ბეჭედი
მინერალებით

PERODRI
ვარდისფერი ოქროს
ბეჭედი შავი ბრილიანტით

SUÁREZ
საყურეები ფერადი
ქვებით

PERODRI
ვარდისფერი ოქროს
სამაჯური
შავი ბრილიანტით

DIOR
ბეჭედი ბრილიანტითა
და ლალით

MARILISI
Georgian Jewelry House
ბეჭედი ბრილიანტებითა და
ძვირფასი თვლებით

TIFFANY & CO.
გულსაბნევი საფირონითა
და ბრილიანტით

MARILISI
Georgian Jewelry House
ოქროს ბეჭედი
ძვირფასი ქვებით

Ricardo Sanz

ესპანელი პორტრეტისტი

Etere Agency

+995 577 12 22 08

VERSACE
Art Time

BALMAIN
Art Time

TISSOT
Art Time

FASHION

Chic HOUR

საათი ყოველდღიურ აქსესუარებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთია, რომელსაც მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულებით თითქმის არცერთი ქალბატონი არ იყენებს

მინიმალისტურ, ტყავის სამაჯურიან საათებთან ერთად, მეტალის მასიური ნაკეთობებიც საკმაოდ მოდურია. შეუხამეთ საათი თქვენს ყოველდღიურ LOOK-სა და სამკაულებს – ეს მოდური აქსესუარი განსაკუთრებით სამაჯურებს უხდება.

FREDERIQUE CONSTANT
Art Time

JAEGER-LECOULTRE

BALMAIN
Art Time

VERSACE
Art Time

LONGINES
Art Time

CARTIER

BALMAIN
Art Time

LONGINES
Art Time

RADO
Art Time

TISSOT
Art Time

CALVIN KLEIN
Art Time

CALVIN KLEIN
Art Time

CHRISTIAN KOBAN

CHANEL
Art Time

FASHION

Elegant HOUR

თუ სადღესასწაულოდ გამოპრანჭვას გეგმავთ და შესაფერის სამოსსა და აქსესუარებს არჩევთ, შესაბამისი საათიც არ დაივიწყოთ

შეარჩიეთ ნაზი სამაჯურითა და ძვირფასი ქვებით მოჭედილი მოდური აქსესუარი, რომელიც თქვენს Party Look-ს კიდევ უფრო მოდურსა და გლამურულს გახდის.

CALVIN KLEIN
Art Time

CHRISTIAN KOBAN

GIFT IDEAS

FOR HER

იყავით თქვენი საყვარელი ადამიანების სანტა და გაულამაზეთ მათ დღესასწაული განსაკუთრებული საჩუქრებით. ქალბატონების უმეტესობას, საახალწლოდ ყველაზე მეტად სამკაულების, სამოსის, პარფიუმერიისა და თავის მოვლის საშუალებების საჩუქრად მიღება გააბედნიერებს.

ARMANI
სამაჯური

ESHVI
ქუდი

BLUMARINE
ლაბადა

TAMUNA INGOROKVA
კაბა

NUXE - GPC
სასაჩუქრე ნაკრები

CHANEL
სამაჯური

CRUCERO
ჩანთა

DR RENAUD - GPC
სახის ნიღაბი

ELOSHI
ხავერდის ბომბერი

ELOSHI
კაბა

LOEWE
ჩანთა

MOROCCAN
სასაჩუქრე ნაკრები

LOLA CASADEMUNT
ბეწვიანი ხელთათმანი

BARBOUR
მამაკაცის ჩუსტები

SALVATORE FERRAGAMO
ქამარი

GIUSEPPE ZANOTTI DESIGN
საფულე

LOEWE
ჩოგანი

MONCLER GRENOBLE
ქურთუკი

JEAN PAUL GAULTIER
სუნამო LE MALE

ROLEX
საათი

PACO RABANNE
INVICTUS EAU DE TOILETTE
სასაჩუქრე ნაკრები

GIFTS.COM
საპიკნიკე
ჩანთა-მაცივარი

GIFT IDEAS

FOR HIM

თუ საახალწლო საჩუქარს მამაკაცისთვის არჩევთ, ეცადეთ ნივთს ემოციურ დატვირთვასთან ერთად პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდეს. სმარტფონსა და ახალ საათთან ერთად, თქვენს მეუღლეს, ძმას თუ მამას, ახალი სუნამოთი და სამოსითაც ძალიან გაახარებთ.

JOHN LEWIS
ჩუსტები

MYKITA
სათვალე

MASTER & DYNAMIC
ყურსასმენი

GIFTS.COM
ინდივიდუალური
დიზაინის
ლუდის კათხა

APPLE
iPad mini

TED BAKER
სასაჩუქრე ნაკრები

PAUL SMITH
სვიტერი

CANALI
ხელთათმანი

ZARA
ბალიში

TED BAKER
ჭიქა

GIFTS.COM
სათავსო

ROCHEBOBOIS
პუფი

BEAUTY

Smart BEAUTY

საახალწლო აურზაურში თავის მოვლისთვის საჭირო დროის გამონახვა ალბათ ყველა ქალბატონს უჭირს

სწორედ ამიტომ, HELLO!-ს გუნდმა თქვენთვის ყველაზე სწრაფი და ყველაზე ეფექტური პროცედურები მოიძია, რომლებიც ფორმის ელვის სისწრაფით აღდგენაში დაგეხმარებათ. გაიუმჯობესეთ სახის კანი, თმის ხარისხი, გახდით უფრო მომხიბვლელები ჩვენი რჩევების დახმარებით და რაც ყველაზე მთავარია – მოასწარით ეს ყველაფერი უმოკლეს დროში.

ცხვირის პლასტიკა ქირურგიული ჩარევის გარეშე!

უსისხლო რინოპლასტიკა ჰიალურონის მჟავის შემცველი პრეპარატების დახმარებით ცხვირის ფორმის შეცვლას საკმაოდ მარტივად და კომფორტულად უზრუნველყოფს. ადამიანის ქსოვილთან აბსოლუტურად თავსებადი არაცხოველური წარმოშობის ჰიალურონის მჟავის დახმარებით, ძალიან მოკლე დროში შეგიძლიათ მოიშოროთ კეხი, გამრუდებული ძგიდე და ნებისმიერი დაზიანება თუ დეფექტი, თანაც – სრულიად უმტკივნეულოდ. ინექცია არ იწვევს ალერგიულ რეაქციებს, გაღიზიანებას, არ მოითხოვს წინასწარ ტესტირებას ტოლერანტობაზე და კანის მიერ აღიქმება როგორც საკუთარი კომპონენტი. სრულიად უმტკივნეულო პროცედურა ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ ტარდება და მისი ხანგრძლივობა 30 წუთია. ეფექტი, რომელსაც მომენტალურად იღებთ, 2 წელი შეგინარჩუნდებათ.

კონტურული პლასტიკის შესაძლებლობების ფარგლებში გამოსწორებადია ცხვირის კეხი, ტრავმული დაზიანება, პოსტოპერაციული ხარვეზები, ნესტოების ფორმა და ცხვირის ფორმასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.

ესთეტიკური მედიცინის ცენტრი
SOLO PER TE
ი. ჭავჭავაძის გამზ. 62
(ბერძენიშვილის ქუჩის მხრიდან)
თბილისი
ტელ: (+995) 322 43 49 94
(+995) 591 41 77 77
fb.com/Solo Per Te / სოლო პერ ტე

თმის ცვენის
რადიკალური შეჩერება

მკვეთრად გაიუმჯობესეთ თმის მოცულობა ინოვაციური თმის ფილერის დახმარებით. პროცედურა ინტენსიურად ებრძვის თმის ცვენას, აცოცხლებს თმის ბოლქვებს და ხელს უწყობს ახალი ღერების ამოსვლის პროცესს. პროცედურა 20-წუთიანია, მიმდინარეობს სრულიად უმტკივნეულოდ, არ საჭიროებს ანესთეზიას, წინასწარ მომზადებას და არც პროცედურის შემდგომ რეაბილიტაციას მოითხოვს.

თმის ფილერის სრული კურსი მოიცავს:

- 2 კვირაში ერთხელ პროცედურის ჩატარებას
- 2 თვის განმავლობაში (*სულ 4 პროცედურა*);
- კურსს მოყვება სპეციალური შამპუნი და რევიტალიზატორი შინ მოხმარებისთვის.

ვისთვისაა განკუთვნილი თმის ფილერი?

- ყველა ასაკის ქალბატონებისა და მამაკაცებისთვის, რომლებსაც თმა სცვივათ;
- *ბუდობრივი თმის ცვენის (ალოპეციის)* პრობლემების მქონე პაციენტებისთვის, თმის ზრდისა და გახშირების სტიმულაციისთვის;
- პაციენტებისთვის, რომლებმაც გადაინერგეს თმა, სასურველი შედეგის სრულყოფილად შენარჩუნებისთვის;
- თმის ცვენის საწინააღმდეგო ალტერნატიულ მეთოდებთან ერთად, კომბინაციაში, ეფექტის გაძლიერებისთვის (*პლაზმოლიფტინგი, მეზოთერაპია*).

*კლინიკა **MEDI***
კოსტავას ქ. 52
თბილისი
ტელ: (+995) 322 91 00 00

გლუვი კანის საიდუმლო

კანის სწრაფად გაახალგაზრდავების, რეჰიდრატაციისა და გაჯანსაღებისთვის ფილერი უდავოდ უკონკურენტო საშუალებაა. შეებრძოლეთ დაბერების ნიშნებს, გაიქრეთ ნაოჭები და შეხვდით ახალ წელს ახალი სახის კანით. **BELOTERO**-ს ინოვაციური ფილერი კანში ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე, უჯრედულ დონეზე იწოვება. 5 განსხვავებული დანიშნულების მქონე შემავსებელი ელვის სისწრაფით გაგიქრობთ ნაოჭებს და დაგეხმარებათ უფრო თავდაჯერებული და მიმზიდველი გახდეთ:

- **Belotero Hydro**-ს მთავარი ფუნქცია თქვენი კანის რეჰიდრატაციაა. ის სახის კანსა და კისრის მიდამოს კანს სიცოცხლისუნარიანობას უბრუნებს;
- **Belotero Soft** სახის კანზე გაჩენილ წვრილ ნაოჭებს აქრობს;
- **Belotero Balance**-ის მიზანია თქვენი კანიდან ერთხელ და სამუდამოდ გააქროს საშუალო სიღრმის ნაოჭები;
- **Belotero Intense** კანში ღრმად ჩამჯდარ ნაოჭებს, ტუჩის კონტურს, მიმიკურ ნაოჭებს ებრძვის;
- **Belotero Volume** კანის მკვდარი უჯრედების აღდგენასა და ყვრიმალების გამოყოფას უწყობს ხელს.

"ფარმადეპოს„ *აფთიაქი, ესთეტიკური კაბინეტი*
ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი

GERMAINE DE CAPUCCINI

TIMEXPERT SRNS

GLOBAL ANTI-AGE
ON

ინოვაციური გლობალური გამაახალგაზრდავებელი პროგრამა

კოსმეტიკის წინსვლა
დაფუძნებული
ეპიგენეტიკაზე

სამი ძირითადი ეფექტი:

- აღდგენა
- განახლება
- შევსება

ოფიციალური წარმომადგენელი
საქართველოში "ნატალი ჯგუფი"

SPA CONCEPT
NATALI CONSULTING GROUP

(+995) 577 50 70 38
(+995 32) 245 45 93
12 Tsintsadze str. Tbilisi
natali@natali.ge

www.spaconcept.ge
www.d.natali.ge
/spaconceptgeorgia
/natalidistribution

BEAUTY

Glitter Queen



საახალწლო პერიოდი სწორედ ის დროა, როცა თავს თამამი ექსპერიმენტებისა და გარდასახვების უფლება უნდა მისცეთ. მოდურ სამოსთან ერთად, ტრენდული მაკიაჟიც არ უნდა დაგავიწყდეთ – გაიხალისეთ დღესასწაული ბრჭყვიალა, 1980-იანი წლებით ინსპირირებული თვალის „ჩრდილებითა“ და ტუჩსაცხებით. სპეციალურად HELLO!-ს მკითხველისთვის – Celebrity ვიზაჟისტი ლანა მატახერია სადღესასწაულო მაკიაჟის TOP-ტენდენციებს წარმოგიდგენთ.



ფოტო: გურამ მურადოვი
მოდელები: ანუკა ჩარელაშვილი (*IC MODEL MANAGEMENT*), თეკლა დვალიშვილი (*GEOMODELS*), ნესი კოპალიანი (*NATALIE MODEL AGENCY*), ქეთა ლომაძე (*IC MODEL MANAGEMENT*), რუსკა სირაძე (*GEOMODELS*), იარა უკრაინა (*GEOMODELS*)
ვიზაჟი: ლანა მატახერია (*IMAGE LAB*)

BEAUTY

Festive NAILS

თვალის „ჩრდილებსა“ და ტუჩსაცხებთან ერთად, ამ სეზონზე ბრჭყვიალა მანიკიურიც ძალიან მოდურია. სადღესასწაულოდ, აქცენტი მაქსიმალურ მბზინვარებასა და მკვეთრ ფერებზე გაამახვილეთ

სამკაული
Style Avenue Art Nouveau CHRONOGRAPH

არ დაგავიწყდეთ, რომ სწორად შერჩეული ფრჩხილის ლაქის გარეშე, ვერცერთი LOOK-ი ვერ იქნება სრულყოფილი

სამკაული
Style Avenue Jazz Style Avenue Orient Express CHRONOGRAPH

მოდურ მანიკიურს შესაბამისი სამკაული კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. ინსპირაციისთვის თვალი გადაავლეთ HELLO!-ს მოდის ექსპერტების მიერ შერჩეულ, დელიკატური აქსესუარების ტრენდებს – საახალწლო ნომერში ამ თემასთან დაკავშირებით სპეციალურ ბლოკს გთავაზობთ

სამკაული
APM Monaco CHRONOGRAPH

სამკაული
Style Avenue Jewellery Garden CHRONOGRAPH

საახალწლო წვეულებებისთვის შეარჩიეთ მკვეთრი, ბრჭყვიალა მანიკიური და აუცილებლად შეუხამეთ იგი თქვენს სადღესასწაულო ჩაცმულობასა და აქსესუარებს

სტილისტი: YIN YAMG STUDIO, **სპეციალისტები:** CHRONOGRAPH.

FITNESS

ფიტნეს რეკომენდაციები

ახალი წელი, შობა, უქმეები, უგემრიელესი სუფრა – ყველა პირობა იმისათვის, რომ ჩვენს წონას ზედმეტი კილოგრამები დაემატოს. პოპულარული მსახიობი და ტელე და რადიოწამყვანი მირიან ჯეჯელავა კი ქართული HELLO!-ს მკითხველებს მოუყვება იმაზე, თუ რას ნიშნავს მისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესი და რამდენად იცავს ის რეჟიმს.



მირიან ჯეჯელავა: „ცხოვრების ჯანსაღი წესი ჩემთვის მხოლოდ ჯანსაღ საკვებსა და ვარჯიშს არ გულისხმობს. ეს არის მოწესრიგებული ბიოლოგიური ძილის, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, ნაკლები სტრესისა და რაც მთავარია – რთულ სიტუაციებში პოზიტიური განწყობის შენარჩუნების ერთობლიობა. სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, სისტემატურ ვარჯიშს სამწუხაროდ ვერ ვახერხებ. მეტსაც გეტყვით – ბოლო რამდენიმე თვე, შეიძლება ითქვას საერთოდ არ მივარჯიშია და ფაქტობრივად ყველაფერი წყალში ჩამეყარა, თუმცა საჯაროდ ვდებ პირობას, რომ ამ ჩავარდნას გამოვასწორებ და თუნდაც Hello!-ს ამ რუბრიკის დახმარებით დავუბრუნდები ინტენსიურ ვარჯიშს.

მომწონს კარდიოვარჯიშები. ძირითადად – სირბილი და ველოსიპედი. განსაკუთრებით სხეულის იმ ნაწილებს ვუთმობ დროს, რომლებიც ვფიქრობ ყველაზე სუსტი მაქვს. ესენია მხრები და ფეხები. კვება ის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, რომლის გარეშე ვარჯიშს მე მგონი აზრი არ აქვს. გურმანი ვარ, შესაბამისად გემრიელი და ნოყიერი კერძები მიყვარს. მიდრეკილება მაქვს ჭარბწონიანობისკენ. ცომეულსა და ტკბილეულს დიდი ხნის წინ დავემშვიდობე. ეს გარკვეულწილად მეხმარება წონის შენარჩუნებაში. ვცდილობ დღის მანძილზე მინიმუმ 2 ლიტრი წყალი დავლიო.

ვარჯიშის დროს კომფორტულად და თავისუფლად ვიცვამ. მომწონს Nike-ის პროდუქცია. შესაბამისად მაისურიც, შარვალიც და ბოტასიც სწორედ ამ ბრენდის მაქვს. ძალიან რთულია სადღესასწაულო დღეების შემდეგ ჩვეულ რეჟიმში ჩადგომა. კარგი იქნება თუ ნებისყოფა არ გვიმტყუნებს და ზომიერების დაცვას შევძლებთ, თუმცა თუ ცდუნებამ მაინც გვძლია, არ უნდა დაგვავიწყდეს რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დავუბრუნდეთ სწორ კვებასა და ფიტნესდარბაზს“.

საახალწლო პერიოდის შემდეგ სასურველია ეტაპობრივი ვარჯიშის დაწყება და კვებითი რეჟიმის შეცვლა, რაც სწორ კვებაზე გადასვლას გულისხმობს. კარდიოვარჯიშები საუკეთესო საშუალებაა ცხიმისა და ქოლესტერინის გამოსადევნად. შემდეგი ეტაპი სისტემური ვარჯიშებია, ძირითადი დატვირთვა კი ბაზისურ ვარჯიშებზე მოდის, სწორედ ეს ეხმარება ორგანიზმს ახალ რეჟიმზე გადაეწყოს.

ყველა ვარჯიშს თავისი დანიშნულება აქვს და კეთდება იმ დროს, როცა საჭიროა. ვარჯიშის პერიოდში აუცილებელია დიეტის დაცვა, თუმცა დიეტა შიმშილობას არ ნიშნავს. ეს არის სწორი კვება, რომელიც ადამიანმა თავის ორგანიზმს უნდა მოარგოს. პრინციპში, სწორი კვება ყველასთვის აუცილებელია – არ აქვს მნიშვნელობა ვარჯიშობს თუ არა ადამიანი. ასევე მნიშვნელოვანია დღის განმავლობაში მივიღოთ 3 ლიტრი წყალი. წყალში, რასაკვირველია, არ იგულისხმება ყავა, ჩაი და სხვა სითხეები. სასმელი წყლის მიღება კვებათა შუალედებში უნდა ხდებოდეს – საკვების მიღებამდე 20 წუთით ადრე და მიღებიდან 20 წუთის შემდეგ, და არავითარ შემთხვევაში ჭამის პერიოდში. ვარჯიშის დროს სასმელი წყლის მიღება შეუზღუდავია.

დღის ჯანმრთელი რეჟიმის არარსებობის შემთხვევაში ვარჯიში და სწორი კვება სასურველ შედეგს არ მოგვცემს. ამიტომაც ეცადეთ თქვენი ყოველი დღე სწორად დაალაგოთ. ძილი ის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც სხეულის სიჯანსაღეს ხელს უწყობს.

OKTOPUS FITNESS CLUB
სანდრო ეულის ქუჩა 7, თბილისი

NIKE
სპორტული ზედა

NIKE
მაისური

NIKE
სპორტული შარვალი

NIKE
სპორტული ქამარი

NIKE
სპორტული ფეხსაცმელი

OSHEE
წყალი
მინერალებით

FESTIVE

უმამ და ლილიმ საშობაო სეზონი გახსნეს

უმა ტურმანმა და ლილი ჯეიმსმა სადღესასწაულო განწყობა სხვებსაც გაუზიარეს, როცა ორ ცნობილ მაღაზიას ეწვივნენ. KILL BILL-ის ვარსკვლავმა უზარმაზარი მაკრატლით საზეიმოდ გაჭრა ბანტი, რომელიც პარიზული მაღაზია PRINTEMPS-ის საშობაო სეზონის გახსნას აღნიშნავდა. ლილიმ კი იგივე „საქციელი“ ლონდონის HARRODS-ში „ჩაიდინა“.

Downton Abbey-ის ყოფილი ვარსკვლავი მარტო არ იყო – მას შეყვარებული **მეთ სმიტიც** ახლდა, რომელიც Netflix-ის ახალ სერიალში The Crown ედინბურგის ჰერცოგს განასახიერებს. მსახიობი საყვარელ ლამაზმანს გვერდს მაშინაც უმშვენებდა, როცა ლილი **BURBERRY**-ის საახალწლო ნაძვის ხის განათებებს რთავდა. 27 წლის გოგონას ამავე ბრენდის შავი კაბა ჰქონდა მორგებული და როგორც ყოველთვის, საოცრად დახვეწილი სტილით გამოირჩეოდა. შეგახსენებთ, რომ ლილი **BURBERRY**-ს სახეა და მის საშობაო ვიდეორგოლშიც მონაწილეობს. რეკლამას **THE TALE OF THOMAS BURBERRY** ჰქვია და მასში სიენა მილერი და დომინიკ უესტიც მონაწილეობენ.

ამასობაში, 46 წლის უმამ **JIMMY CHOO**-ს ფეხსაცმელებითა და თოჯინებით მორთული უზარმაზარი ნაძვის ხე „გახსნა“ და მასთან **DOLCE & GABBANA**-ს ელეგანტური Look-ით იპოზიორა.

ტანსაცმელი: ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: GETTY IMAGES.

HELLO! GEORGIA

შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია

იკითხეთ **HELLO!** მთელ მსოფლიოში

სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე

ჩამოტვირთეთ ქართული **HELLO!** მსოფლიოს უმსხვილესი დახლებიდან

ZINIO და MAGZTER

Google play

Available on the App Store

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

info@hellomagazine.ge

FESTIVE

საუვეთესო საშობაო ვიტრინები

ამ ჯადოსნურ პერიოდში ზღაპრულ ატმოსფეროს არა მხოლოდ ქუჩის მორთულობა, არამედ მაღაზიების ვიტრინებიც ქმნის. მსოფლიოს გარშემო, ვიტრინების საშობაოდ მორთვა და მათი პომპეზურად გახსნა ერთგვარ დღესასწაულადაც იქცა, რომელსაც დიდი სიამოვნებით ცნობილი ადამიანებიც უერთდებიან.

PRINTEMPS

ლეგენდარული პარიზული მაღაზია **PRINTEMPS** ყოველ წელს განსაკუთრებულ სანახაობს სთავაზობს ქალაქის მცხოვრებლებს. ნოემბრის ბოლოს ოსმანის ბულვარზე განლაგებული მაღაზიის ფანჯრებიდან გაპრანჭული თოჯინები, საშობაო დეკორაციები, საზეიმოდ შეფუთული საჩუქრები და გირლანდები გამოჩნდნენ. **PRINTEMPS**-ის ზღაპრის მთავარი გმირები პატარა ბავშვები – ჟული და ვაიოლეტი არიან, რომლებიც პარიზული მაღაზიის ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობენ.

SELFRIDGES

ლონდონურ მაღაზიას ამ წელს ძალიან სახალისო ვიტრინის დეკორი აქვს – სანტა კლაუსი გლამურული გოგონების გარემოცვაში. შეუძლებელია ღიმილი არ მოგგვაროთ სანტამ, რომელიც DJ-ს პულტთან დგას და ძალიან ერთობა. მოკლედ, Selfridges-ული სანტა წელს მოდურ საჩუქრებსა და კარგ გართობას გვპირდება.

LA RINASCENTE

როგორც ჩანს მილანური მაღაზიის კრეატიული დირექტორი ოპერის მოყვარულია. წელს აქ ჯაკომო პუჩინის „მადამ ბატერფლაის“ სცენებს იხილავთ. La Rinascente მოდისა და ხელოვნების კიდევ ერთ ბრწყინვალე შერწყმად იქცა. გეიშები ზურგით დგანან და ტელევიზორს უყურებენ – ყურებში ყურსასმენებით, რაც შემთხვევითი არაა: იაპონურ კულტურაში ქალის კისერი უკნიდან ძალიან სექსუალურად მიიჩნევა.

BERGDORF GOODMAN

გლამური და დრამა მეხუთე ავენიუზე: Bergdorf Goodman-მა უარი თქვა კლასიკურ სიუჟეტზე და ძვირადღირებულ კაბებში გამოპრანჭული ლამაზმანები უდაბნოებსა და ტროპიკულ ტყეებში სასეირნოდ გაუშვა. Destination Extraordinary – ეს მეხუთე ავენიუს დრამის სახელია. ანრი რუსოს ნახატები, XII საუკუნის ჩინური აკვარელი და სხვა საინტერესო დეტალები, რომლებსაც Bergdorf Goodman-ის ვიტრინებში აღმოაჩენთ.

ტექსტი: ნინა კობაძე. **ფოტო:** La Rinascente, Bergdorf Goodman, GETTY IMAGES.

DECOR

HELLO! LOVES

IKEA
ნაძვის ხის აქსესუარი

LEROY MERLIN
სარკე

DE EL CORTE INGLÉS
საშობაო გვირგვინი

MOËT & CHANDON
შამპანური

Zara Home
მაგიდა

CHRISTOFLE
დანა-ჩანგალი

JYSK
ბალიში

JYSK
საშობაო წინდა

LEROY MERLIN
საახალწლო აქსესუარი

JYSK
სარკე

JYSK
სანტა

JYSK
საშობაო დეკორაცია

ZARA HOME
თეფში

INTOURIST HOTEL

ABSHERON HOTEL GROUP-მა, AUTOGRAPH COLLECTION-თან ერთად, ძველ სასტუმროს ახალი სიცოცხლე აჩუქა და ტრადიციული და თანამედროვე დეტალების შეზავებით უნიკალური დიზაინი შექმნა. უმაღლესი სტანდარტის ნომრებიდან კასპიის ზღვისა და ბაქოს ცნობილი ბულვარის ულამაზესი ხედები იშლება. ლაუნჯი ბუხრით, ღია ტერასა, ნახევრად დახურული ბარი - აქ ყველაფერია ყველა სეზონისთვის! განტვირთვაში სტუმრებს ულტრათანამედროვე დიზაინით მოწყობილი სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრი ეხმარება. აქვეა ბიზნესკუთხე, ასევე „ოთახი 1934“, რომელიც საკონფერენციო სივრცედ გამოიყენება და ლამაზ ბიბლიოთეკასაც მოიცავს.

USEYNOV Street, 51
AZ1003 **BAKU**, **AZERBAIJAN**
+ 994 12 310 3310
info.intourist@absheronhotelgroup.com

FESTIVE

ახალი წლის

ღამის ლამაზი დეტალები

ახალ წლის მოსვლამდე დარჩენილ დღეებს თითებზე ვითვლით. რაღაც იცვლება, ყველა იღიმის, ირგვლივ ბედნიერ სახეებს ვხედავთ და ეს „გადამდები“ ბედნიერება ჩვენც განსაკუთრებულ განწყობას გვიქმნის

ამ დღეს ყველა – დიდი თუ პატარა განსაკუთრებული სიხარულით ველით. ვცდილობთ დავივიწყოთ ყველაფერი ცუდი, განვლილ წელს გავატანოთ ნეგატივი და მადლიერების გრძნობით გავაცილოთ ძველი წელი. იმედის თვალით ვუყურებთ დამდეგს და სანამ ბოლო წუთებსა და წამებს ავითვლით, ვცდილობთ ახალი წლის ღამეს ყველაფერი ჯადოსნური, სადღესასწაულო, ლამაზი და ბრჭყვიალა იყოს. საახალწლო სამზადისის განუყრელი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, სუფრა და დეკორატიული ნივთებია. ლამაზი ჭურჭელი, ბაფთები, სანთლები და მბზინავი საახალწლო აქსესუარები ყოველდღიურ რუტინას გვავიწყებენ და საახალწლო განწყობას გვიმძაფრებენ. ახალი წლის მობრძანებისას კი მეკვლე, ოჯახის წევრებისა და სტუმრების გარემოცვაში, ცქრიალა ღვინის ჭიქით ხელში, თავსაც უფრო ბედნიერად გვაგრძნობინებს. საახალწლოდ HELLO!-ს მკითხველს ნანი ბრეგვაძე, ნინო იოსელიანი და თეკუნა გაჩეჩილაძე, მათთვის ყველაზე თბილი და ოჯახური დღესასწაულის სამზადისზე, საყვარელ დეკორაციულ ნივთებზე და რაც მთავარია – სუფრის საზეიმოდ გაწყობაზე მოუთხრობენ.

ნანი ბრეგვაძე

„ადამიანის გემოვნება სახლის ინტერიერში და ჭურჭელში ყველაზე კარგად ჩანს. საკვებს რაც უფრო ლამაზი ჭურჭლიდან მიირთმევ, უფრო გემრიელი და მადისაღმძვრელი იქნება“

ახალი წელი ნანი ბრეგვაძეს სხვა დღესასწაულებისგან გამორჩეულად უყვარს. სიყვარულის მიზეზი ბევრია: ოჯახის წევრების თითქმის სრული შემადგენლობით შეკრება, ყველას სახეზე ღიმილი, ბედნიერება და სიხარულით აციმციმებული თვალები. სადღესასწაულო და საზეიმო განწყობას ფერადი საახალწლო დეკორატიული ნივთები, ბრჭყვიალა აქსესუარები და ამ დღის მთავარი სიმბოლო – ნაძვის ხე აორმაგებს.

ბავშვობიდან ასეა – კოტე მესხის ქუჩაზე, ბრეგვაძეების ეზოში, საახალწლო სამზადისი 15 დეკემბერიდან იწყებოდა. იტალიურ ეზოში, ძველი სახლის დიდ ოთახებს დედა განსაკუთრებულად რთავდა, ცენტრში დიდ ნაძვის ხეს დგამდა, რომლის მორთვაში ეზოდან ამოსული, თოვლში გუნდაობით დაღლილი ნანი და მისი ბიძაშვილებიც ეხმარებოდნენ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თუმცა ახალი წლისგან განსაკუთრებული, იმედისმომცემი განწყობა და თოვლის ბაბუისა და ნაძვის ხის სათამაშოებისადმი ბავშვური სიყვარული უცვლელი დარჩა.

ნანი ბრეგვაძის ოჯახში საახალწლო სამზადისი დეკემბრის ბოლოს, მას შემდეგ იწყება, რაც ნატალიკო აშშ-იდან საშობაო არდადეგებზე სამშობლოში ბრუნდება. ნაძვის ხეს ძირითადად ნატალიკო რთავს, თუმცა რჩევებსა და მითითებებს ნანიც იძლევა და სახასიათო შტრიხები შეაქვს. უყვარს სხვადასხვა ფერის, ფორმისა და ფიგურის სათამაშოები. უპირატესობას ხელნაკეთ სათამაშოებს ანიჭებს, რომლებსაც ზამთრის გასტროლებზე ყოფნისას მოსკოვში, ინგლისსა და ჰოლანდიაში, მოკლედ, ნოემბრიდან მოყოლებული სადაც წაიწყდებოდა მუდმივად ყიდულობდა. ბევრი მათგანი დროთა განმავლობაში გატყდა, თუმცა კოლექცია ყოველწლიურად ახალი სათამაშოებით ახლდება. ნანის საყვარელი ნაძვის ხის სათამაშო – ბაყაყი, დედოფლის გვირგვინითაა, რომელიც მისთვის სიმბოლურ დატვირთვას ატარებს და სიმშვიდესთან და ბარაქის მოტანასთან ასოცირდება.

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საახალწლო სუფრას, რომელსაც ნანი საახალწლო ფუსფუსისას ყველაზე მეტ დროს უთმობს და ამისგან შეძენილი გაწყობით ყველაზე დიდ სიამოვნებას იღებს, ამიტომ ამ საქმეში ჩართვის უფლებას არავის აძლევს. საჭმელთან ურთიერთობა არ უყვარს, ამიტომ საახალწლო კერძებზე უკვე ეკა ზრუნავს. როდესაც სამზარეულოში დატრიალებული გემრიელი სურნელი მთელ სახლში იგრძნობა, ნანი ზუსტად ამ დროს აცნობიერებს, რომ ახალი წელი ახლოვდება და დროა სუფრის გაწყობაზე ფიქრი დაიწყოს.

ნანისთან სუფრის გაწყობა 30 დეკემბერს იწყება და ახალი წლის მოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე მთავრდება. უკვე იცის, რომ 2017 წლის საახალწლო მაგიდას ყატარში შეძენილი, თეთრი მოქარგული სუფრა დაამშვენებს. რაც შეეხება ჭურჭელს – ან საგვარეულო, ფაიფურის თეთრი, ოქროსფერი გვირგვინებით გაფორმებული თეფშებით, ან ისრაელში შეძენილი, თეთრ და ლურჯ ფერში, „კუზნიცევის“ ფაიფურის სერვიზით გააწყობს. კერძის კარგი ჭურჭლიდან დაგემოვნება მის ოჯახში ტრადიციაა.

ლამაზ და ძვირფას ჭურჭელს ნანი უკვე წლებია აგროვებს. ყველას ისტორია ახსოვს – სად, როდის შეიძინა, ან თუნდაც როგორ აჩუქეს. ერთ-ერთი ასეთი, პეტერბურგში შეძენილი „ვეჯვუდის“ სერვიზი და რუსი თაყვანისმცემლის ნაჩუქარი 6-კაციანი ჭურჭელია, რომელზეც ოქროსფრად მისი ინიციალებია დატანილი – „ნ.ბ.“ მაშინ როდესაც საახალწლო სამზადისი დასრულებულია და 12 საათის მოსვლას წუთები აკლია, სურვილის ჩაფიქრების დრო დგება, რომელიც წელსაც, ტრადიციულად, ნანისთვის უცვლელია. მთავარია ქვეყანაში სიმშვიდე იყოს და მის მოქალაქეებს 2017 წელს, წინა წლებთან შედარებით ნაკლები სანერვიულო ჰქონდეთ.

„ახალი წლის ღამეს, 12 საათის შესრულებამდე, ბოლო 12 წამის განმავლობაში, თუ ყურძნის 12 მარცვლის შეჭმას მოასწრებ, მაშინ შენი საახალწლო სურვილი აუცილებლად ასრულდება“

ახალი წელი ნინო იოსელიანის ყველაზე საყვარელი დღესასწაულია. ბავშვობიდან მოყოლებული, საახალწლოდ მის ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებული სამზადისი იყო და დღემდე ასეა. მამა შვილებისთვის ყოველთვის გამორჩეულ ნაძვის ხეს ყიდულობდა, დედა კი ლამაზ საახალწლო სათამაშოებს, მაგიდის ლამაზ გადასაფარებელს, ჭურჭელსა და სხვადასხვა აქსესუარს. მშობლები მაქსიმალურად ცდილობდნენ ყოველი ახალი წელი, წინა წელთან შედარებით უფრო ლამაზი ყოფილიყო და შვილებისთვის ნამდვილი დღესასწაული მოეწყოთ. მამა აფხაზეთში მუშაობდა, შვილები თბილისში სწავლობდნენ, თუმცა ახალი წლის შესახვედრად ოჯახის წევრები გაგრაში მამასთან სტუმრად ჩადიოდნენ. ერთ-ერთ ახალ წელს მამამ ნინოს და მის დას – ეკას, ვიდეოკამერა აჩუქა, მას შემდეგ გოგონები ყოველ ახალ წელს საახალწლო კლიპს იღებდნენ, ოჯახის წევრებთან ინტერვიუებს წერდნენ, გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენებს იხსენებდნენ და ერთმანეთს სამომავლო გეგმებსა და სურვილებსაც უზიარებდნენ. 30 წლის მანძილზე გადაღებული, ოჯახის უნიკალური,



ნინო იოსელიანი

საახალწლო ვიდეოარქივი ნინოსთვის ძალიან ძვირფასია და დღეს მის სახლში ინახება.

ნინო იოსელიანის ოჯახში უკვე ტრადიციად იქცა, რომ მისი ოჯახის წევრები, წლის განმავლობაში მსოფლიოს რომელ კუთხეშიც უნდა იყვნენ დაფანტულნი, ახალ წელს ყველა ერთად უნდა შეიკრიბონ და ახალი წლის მობრძანება ერთად უნდა იზეიმონ. საახალწლო სამზადისი მის ოჯახში დეკემბრის მოსვლისთანავე იწყება. ევროპაში მოგზაურობისას, წლების მანძილზე შეძენილი საახალწლო ნივთებით და ლამაზი აქსესუარებით უკვე ერთი დიდი საახალწლო დეკორაციების კოლექცია მოგროვდა, თუმცა ტრადიცია აქვს, რომ ყოველ წელს საახალწლო დეკორაციას ერთი ახალი გამორჩეული ნივთი მაინც უნდა შეემატოს. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ნაძვის ხეს, რომელიც ყოველთვის საგანგებოდ ირთვება. გასულ წლებში მას ვერცხლისფერსა და თეთრ ფერებში რთავდა, თუმცა წელს მამლის წლის გათვალისწინებით მესამე ფერი – წითელი დაემატა და 2017 წლისთვის ნინოს ნაძვის ხე თეთრი, წითელი და ოქროსფერი დეკორატიული ნივთებით მოირთო. სახლის მორთვისას ასტროლოგიურ წინასაახალწლო რჩევებს დიდ ყურადღებას არ აქცევს, თუმცა მოდის ტენდენციებს ზედმიწევნით იცავს და აუცილებლად ითვალისწინებს. ინტერიერში გამორჩეული დეტალია თეთრ, წითელ და ოქროსფერში გაწყობილი საახალწლო სუფრა. საახალწლო თემატიკის მაგიდის გადასაფარებელი, ჭურჭელი, ხელსახოცები, საახალწლო დეტალებით გაფორმებული მაგიდის აქსესუარები, ძველი დიდი შანდლები და ბევრი კრისტალი. ამ ყველაფერს განსაკუთრებულ სადღესასწაულო და საახალწლო ელფერს მაგიდაზე ცოცხალი საშობაო ყვავილები სძენს.

ესპანეთში ცხოვრებისას ასწავლეს, რომ ახალი წლის ღამეს, 12 საათის შესრულებამდე, ბოლო 12 წამის განმავლობაში, თუ ყურძნის 12 მარცვლის შეჭმას მოასწრებ, მაშინ შენი საახალწლო სურვილი აუცილებლად ასრულდება. უკვე ბოლო ათი წელია, ესპანური ტრადიცია ნინოს უცვლელი საახალწლო რიტუალია.

2017 წლის მთავარი საახალწლო სურვილი კი, ჟურნალ HELLO!-ს გაფართოება და ყველა იმ ჩაფიქრებული პროექტის საინტერესოდ განხორციელებაა, რომელსაც ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ექნება.

თეკუნა გაჩეჩილაძე

ახალი წლის მოახლოებას თეკუნა გაჩეჩილაძე დეკემბრის დადგომისთანავე გრძნობს. ახალ წელს ყოველთვის ახალ გეგმებს აწყობს, ახალი ცხოვრების ათვლას იწყებს და მისგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ელის. მის ნებისმიერ რესტორანში მისული ნებისმიერი სტუმარიც მისგან ყოველთვის განსაკუთრებულ დახვედრას ელის. ეს ყოველთვის ასეა, თუმცა ახალი წლის დღეებში ეს ყველაზე კარგად იგრძნობა. კორპორაციული საღამოები, წლის შემაჯამებელი ბიზნესშეხვედრები, სადღესასწაულო ვახშმები თუ უბრალოდ მეგობრების ერთად შეკრებები.

ყველას სურს, რომ ახალი წლის საღამო განსხვავებული, განსაკუთრებული და დაუვიწყარი იყოს. თეკუნაც მაქსიმალურად ცდილობს, რომ მასთან მისულმა თითოეულმა სტუმარმა სადღესასწაულო და საზეიმო განწყობა ბოლომდე იგრძნოს და მის რესტორანში გატარებული დროით ბოლომდე ისიამოვნოს.

დეკემბერი და იანვარი, მთელი წლის განმავლობაში მისთვის ყველაზე დატვირთული სამუშაო პერიოდია. აქედან გამომდინარე, ბოლო 10 წელია დრო არასოდეს ყოფნის და შინ საახალწლოდ ვერაფრის გაკეთებას ასწრებს. მისი საახალწლო მენიუ მხოლოდ შუშხუნა ღვინის ბოთლითა და ყველით შემოიფარგლება. დიდი ნაძვის ხის დადგმა არ უყვარს. საახალწლოდ ძირითადად პალმას და სხვადასხვა ცოცხალ ყვავილებს რთავს, თუმცა მას შემდეგ რაც შვილი შეეძინა, ეზოში პატარა ნაძვი დარგო, რომელიც მის შვილთან ერთად იზრდება და ახლა მისი მთავარი საახალწლო რიტუალი სწორედ შვილთან ერთად ამ ცოცხალი ნაძვის ხის მორთვაა.

ინტერიერს და დეკორაციას თეკუნა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, განსაკუთრებით საახალწლო პერიოდში – მაშინ, როცა ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავს. თეკუნასთვის სტუმრის განწყობა და პირველი ემოცია ყველაზე მთავარია, რადგან როდესაც მის „სამფლობელოში“ ხვდება, სტუმარზე ჯერ გარემო მოქმედებს, შემდეგ კი უკვე კერძი. ბევრს ფიქრობს სუფრის გაწყობასა და კერძის წარდგენაზე. გემრიელი საჭმლის ლამაზად გაფორმება და მადისაღმძვრელად შეფუთვა მის პროფესიაში მთავარია. თეფში ყველა კერძისთვის საგანგებოდ შეირჩევა. თუ ვერსად შოულობს ისეთ ჭურჭელს, როგორიც მას მოსწონს და წარმოუდგენია, მაშინ იგი საგანგებოდ მისი კერძებისთვის, კერამიკისგან იქმნება. არ უყვარს აქცენტირებული და გამოკვეთილი სიჭრელე. თეკუნას წლევანდელი საახალწლო გატაცებაა ბროლი. ბროლზე არეკლილი სანთლები, ერთ ფერში აციმციმებული საახალწლო განათება და მარტივი, მინიმალური საახალწლო დეკორი.

საკუთარ საქმესა და პროფესიას თეატრს ამსგავსებს. ემზადება, შრომობს, ამზადებს, აფორმებს, და თუ ვიღაც არ მოვიდა, იმ დღესვე არ დააგემოვნა კერძი და მისი ნახელავით არ ისიამოვნა, მაშინ მისი შრომა, განწყობა და ენერგია წყალში გადაყრილია. მისი საქმე ხალხის კეთილდღეობისა და კეთილგანწყობის პირდაპირპროპორციულია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მისი მთავარი საახალწლო სურვილი 2017 წელს ის გახლავთ, რომ ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა იყოს. ხალხს მეტი დრო და განწყობა ჰქონდეთ, რომ ჯერ ერთმანეთთან ურთიერთობით მიიღონ ბედნიერება, ხოლო შემდეგ უკვე თეკუნას ნახელავით ისიამოვნონ.

ტექსტი: ზურა ბახტარაძეული. **ფოტო:** ეკა პირველი. **სტილი:** თეონა ელიზბარაშვილი.

„პირველი არის ვიზუალი, მერე არის სურნელი და ბოლოს – გემო. კულინარია ხელოვნებაა. ყოველდღიური ძალიან დიდი შრომაა, თუმცა ყოველი თეფში უნდა იყოს შემოქმედების ნიმუში. მუდამ უნდა იფიქრო, რომ ადამიანი მხოლოდ ერთხელ შემოდის შენთან და შენ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა “

ROYAL RECIPES

ულიბარიული ფეიერვერკი

საახალწლო პერიოდი ოჯახის წევრებისა და მეგობრების შეკრებასთან, ბედნიერების გაზიარებასა და ყველაზე გემრიელ საჭმელებთან ასოცირდება. თუმცა, სუფრის ერთფეროვნება ყოველწლიური პრობლემაა. **HELLO!** ყველაზე განსხვავებული, მრავალფეროვანი და საუცხოო სუფრის გაწყობაში დაგეხმარებათ.

შოტლანდიური პაშტეტი

შეფმზარეული დარენ მაკგრეიდი, რომელიც ადრე სამეფო ოჯახს ემსახურებოდა, შოტლანდიური პაშტეტის ჯადოსნურ რეცეპტს გაგვიმხელს. სამი თევზისგან გაკეთებული სტარტერი საუკეთესოა საახალწლო სუფრაზე მისატანად და შედარებით უფრო ნოყიერ კერძებამდე დასაგემოვნებლად.

რეცეპტი 8-10 ულუფა

ინგრედიენტები

- 1 კგ შებოლილი ორაგული (თხლად დაჭრილი)
- 500 გრ შებოლილი კალმახი
- 750 გრ უმარილო კარაქი
- 1 ს/კ კამა *(წვრილად დაჭრილი)*
- 1 ჩ/კ ლიმონის წვენი
- 500 გრ შებოლილი სკუმბრია
- 1 ს/კ ახალი ხახვი (წვრილად დაჭრილი)

მომზადების წესი

1. სპეციალურ ჭურჭელს გადააკარით პარკისებრი ფოლგა ისე, რომ ფსკერი და გვერდები მთლიანად დაიფაროს. შებოლილი ორაგულის ნახევარი აიღეთ, გააცალკევეთ და ჭურჭელში დააწყვეთ ისე, რომ ფსკერიც დაიფაროს და კედლებიც.
2. შებოლილ კალმახს კანი მოაცალეთ და გაასუფთავეთ, შემდეგ კი ე.წ. ბლენდერში მოათავსეთ და ძალიან წვრილად დაჭერით. დაამატეთ 250 გრამი კარაქი, კამა და ლიმონის წვენი. ეს ყველაფერი დააბლენდერეთ, ვიდრე ერთმანეთში ბოლომდე არ აითქვიფება. მიღებული მასა თანაბრად გადაანაწილეთ შებოლილ ორაგულზე და ჭურჭელი ცოტა ხნით მაცივარში შედგით.
3. სკუმბრიას კანი მოაცალეთ და დააბლენდერეთ. დაამატეთ 500 გრ კარაქი და მოქმედება გაიმეორეთ. მაცივრიდან გამოდგით ორაგულის ჭურჭელი და სკუმბრია მასზე თანაბრად გადაანაწილეთ.
4. ბლენდერში, ამჯერად, დარჩენილი ორაგული მოათავსეთ, დაამატეთ კარაქი, ხახვი და დააბლენდერეთ. მიღებული მასა პაშტეტს ისევ თანაბრად გადაუსვით.
5. ჭურჭლის ზედაპირზე ორაგულის რამდენიმე გადანახული ნაჭერი მოათავსეთ, პარკისებრი ფოლგა გადააკარით და მაცივარში მთელი ღამით (*მინიმუმ ოთხი საათით*) დატოვეთ.
6. პაშტეტს პარკისებრი ფოლგა ყველა მხრიდან მოაცალეთ და სპეციალურ ჭურჭელზე გადაიტანეთ. დაჭერით თანაბარ ნაჭრებად და სუფრაზე სალათის ფურცლებთან ერთად გაიტანეთ.

ინდაურის მკერდის რულეტი

ბრიტანეთის სამეფო ოჯახი საუკუნის ტრადიციებს იცავს და საახალწლო სუფრის მთავარ გმირად ისევ ინდაურს მიიჩნევს. ისევე, როგორც სადღესასწაულო სუფრას, გადახალისება ტრადიციულ რეცეპტებსაც უხდება...

რეცეპტი 4-6 ულუფა

ინგრედიენტები
- 1 ც ინდაურის მკერდი
- 4 ნაჭერი პური
- 6 ნაჭერი ბეკონი (კუბებად დაჭრილი)
- 1 ც ხახვი (წვრილად დაჭრილი)
- 1 ც კვერცხი
- 1/8 ლ რძე
- 50 გრ კარაქი
- მარილი
- შავი პილპილი
- 2 ჩ/კ წვრილად დაჭრილი ოხრახუში

მომზადების წესი

1. პური გახუხეთ და პატარა კუბებად დაჭერით.
2. კარგად შეწვით ბეკონი და წვრილად დაჭერით. დაუმატეთ ხახვი, პური, რძე და ოხრახუში. შეაზავეთ მარილითა და შავი პილპილით. 10 წუთის შემდეგ კი კვერცხიც შეურიეთ.
3. მოათავსეთ მიღებული მიქსი ინდაურის მკერდის კანსა და ხორცს შორის, ზედაპირზე სუნელები მოაყარეთ და ფოლგაში მოათავსეთ.
4. გააცხელეთ ღუმელი 70 გრადუსზე და ინდაურის მკერდი 8 საათის განმავლობაში გამოაცხვეთ.
5. ინდაური გააგრილეთ, ფოლგა შემოაცალეთ და 200 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელში დააბრუნეთ. გამოაცხვეთ 40 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი თანაბრად დაჭერით და სუფრაზე გაიტანეთ.

შოკოლადის რულეტი

შოკოლადი ყველას უყვარს, მაგრამ ამ ტკბილეულის ჯადოსნური ძალა სადღესასწაულო პერიოდში უფრო იგრძნობა. დარენ მაკგრეიდიმ ეს დესერტი განსაკუთრებული რეცეპტით მოამზადა და დედოფალ ელისაბედს მიართვა.

რეცეპტი 8 ულუფა

ინგრედიენტები შიგთავსისთვის
- 1 1/4 ჭიქა კრემი
- 300 გრ შავი შოკოლადი (დამდნარი)

ინგრედიენტები ცომისთვის
- 8 ც კვერცხის გული
- 8 ც კვერცხის ცილა
- 1 1/2 ჭიქა შაქარი
- 3/4 ჭიქა კარტოფილის სახამებელი
- 1/2 ჭიქა კაკაოს ფხვნილი

ინგრედიენტები მინანქრისთვის
- 2 1/2 ჭიქა კრემი
- 500 გრ შავი შოკოლადი (დამდნარი)
- 2 ს/კ კარაქი
- 2 ს/კ ფქვილი
- 1/4 ჭიქა შაქარი
- 1 ც პერგამენტის ქაღალდი

მომზადების წესი

1. ტკბილეულის შიგთავსი ერთი დღით ადრე მოამზადეთ: 1 1/4 ჭიქა კრემი დუღილამდე მიიყვანეთ და დამდნარი შოკოლადი ნელ-ნელა დაუმატეთ. გასაგრილებლად ოთახის ტემპერატურაზე მთელი ღამით დატოვეთ.
2. გააცხელეთ ღუმელი 180 გრადუსზე. საცხობ ჭურჭელში პერგამენტის ქაღალდი ჩააფინეთ, ცხიმი წაუსვით და ფქვილი მოაყარეთ.
3. დიდ ჯამში მოათავსეთ კვერცხის გულები და 1 1/4 ჭიქა შაქარი. ათქვიფეთ, ვიდრე ერთიან თეთრ მასას არ მიიღებთ. დაუმატეთ სახამებელი, კაკაოს ფხვნილი და კარგად აურიეთ.
4. კარგად ათქვიფეთ კვერცხის ცილა და მისი ნახევარი იმ ჯამში გადაიტანეთ, რომელშიც კვერცხის გულები ათქვიფეთ.
5. მიღებული მიქსი საცხობ ჭურჭელზე გადაანაწილეთ და ღუმელში 15 წუთის განმავლობაში გამოაცხვეთ, შემდეგ კი გააგრილეთ. პარალელურად მინანქარიც მოამზადეთ.
6. გამზადებული შიგთავსი გამომცხვარ ცომში მოათავსეთ და რულეტივით გადაახვიეთ. ბოლოს კი ნამცხვარს მინანქარი მოასხით.

ნუშის სუპი ზაფრანითა და ძირას სუნელით

არომატული და სასიამოვნო ტექსტურის მქონე სუპი ესპანური სამეფო ოჯახის საყვარელი კერძია. ის სადღესასწაულო სუფრის განუყოფელი ნაწილი და ესპანური სამზარეულოს ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია.

რეცეპტი 4 ულუფა

ინგრედიენტები
- 8 ნაჭერი პური
- 150 გრ ნუში (ძალიან წვრილად დაჭრილი)
- 5 კბილი ნიორი
- 1 ჩ/კ ძირას სუნელი
- 3-4 კონა ზაფრანა
- 750 მლ ბულიონი (ქათმის)
- 2 ჩ/კ წვრილად დაჭრილი ქინძი
- 4 ს/კ ზეითუნის ზეთი
- მარილი
- პილპილი

მომზადების წესი

1. პური დაახლოებით 1 სმ-იან კუბებად დაჭერით. მოათავსეთ ტაფაზე და ზეითუნის ზეთში შეწვით, ვიდრე ოქროსფერ ზედაპირს არ მიიღებთ. გახუხული/შემწვარი კუბები სქელ ქაღალდზე გადაიტანეთ და გააგრილეთ.
2. ნიორი გაფცქვენით და წვრილად დაჭერით. ჩაყარეთ იმ ტაფაში, რომლითაც კუბები „შეწვით“ და ნუშთან ერთად დატოვეთ ცეცხლზე, სანამ ინგრედიენტები ოქროსფრად არ შეიფერება.
3. მიღებული მიქსი საცხობ ჭურჭელში მოათავსეთ, დაამატეთ ქინძის ნახევარი და დარჩენილი ინგრედიენტები. შეაზავეთ მარილით, პილპილით, ზაფრანითა და ძირით. ბულიონი ადუღებამდე მიიყვანეთ.
4. მიღებული მასა გამოაცხვეთ 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი პურის კუბები და დარჩენილი ქინძი დაუმატეთ.
5. სუფრაზე ცხელ-ცხელი მიიტანეთ და გემრიელად მიირთვით.

შემწვარი ბატპანი ციტრუსით

ბატკნის ხორცით ესპანელების ფავორიტი სადღესასწაულო კერძები მზადდება. ხმელთაშუაზღვისპირეთის რეცეპტის თანახმად, იგი თეთრი ღვინით, დაფნითა და სხვადასხვა ციტრუსით უნდა შევაზავოთ.

რეცეპტი 6 ულუფა

ინგრედიენტები
- 1.5 კგ ბატკნის ხორცი (ბარკალი)
- 2 ც ფორთოხალი
- 2 ც ლიმონი
- 4 ჩ/კ წვრილად დაჭრილი დაფნა
- 4 ს/კ თეთრი მშრალი ღვინო
- მარილი
- შავი პილპილი
- გრილზე მოთუშული ბოსტნეული (შერჩეული სურვილისამებრ)

მომზადების წესი

1. ღუმელი 90 გრადუსზე გააცხელეთ.
2. ფორთოხლის კანი წვრილად დაჭერით. ბატკნის ბარკალს კი მარილი და პილპილი მოაყარეთ.
3. მოასხით ზეითუნის ზეთი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ფორთოხლის კანი და დაფნის ფურცლები. ლიმონი და ფორთოხალი თანაბარ ნაჭრებად დაჭერით და საცხობ ჭურჭელზე თანაბრად გადაანაწილეთ.
4. ბატკნის ხორცი საცხობ ჭურჭელში მოათავსეთ და გამოაცხვეთ ნახევარი საათის განმავლობაში.
5. დაუმატეთ თეთრი ღვინო და ცეცხლზე კიდევ ნახევარი საათით დატოვეთ.
6. ცეცხლი გამთიშეთ და ხორცი 15 წუთის განმავლობაში გააგრილეთ. შემდეგ კი დაჭერით და სტუმრებთან გრილზე მოთუშულ ბოსტნეულთან ერთად გაიტანეთ.

ROSCÓN DE REYES

Roscón de Reyes – ეს იმ ტკბილეულის სახელწოდებაა, რომელზეც თითოეული ესპანელი ბავშვი გიჟდება. ფერადი დესერტი ნებისმიერ სუფრას ახალისებს, საახალწლო ვახშამზე კი ნამდვილი ფეიერვერკია!

რეცეპტი 7 ულუფა

ინგრედიენტები
- 600 გრ ფქვილი
- 3 ც კვერცხი
- 100 გრ კარაქი
- 75 გრ შაქარი
- 3 ს/კ ვარდის წყალი
- 1 1/2 ჭიქა რძე
- 25 გრ საფუარი
- 1/4 ს/კ მარილი
- სხვადასხვა სახეობის ჩირი
- ნუში
- თეთრი კრემი

მომზადების წესი

1. საფუარს რძე დაასხით.
2. ჯამში ჩაყარეთ 8 ს/კ ფქვილი და დაუმატეთ რძეში შერეული საფუარი. კარგად მოურიეთ და ჭურჭელი თბილ ადგილას მოათავსეთ. ზედაპირზე ნაჭერი გადააფარეთ და დატოვეთ, ვიდრე კარგად არ გაფუვდება. ამას დაახლოებით საათნახევარი დასჭირდება.
3. დარჩენილი ფქვილი მეორე ჯამში ჩაყარეთ და შუაგულში დაამატეთ დარჩენილი რძე, 2 ცალი ათქვეფილი კვერცხი, შაქარი, მარილი და ვარდის წყალი. მიღებული მასა დაამრგვალეთ და ფქვილმოყრილ ზედაპირზე გადაიტანეთ. ნელ-ნელა შეაზილეთ კარაქიც. შემდეგ პირველ ჯამში აფუებულ ცომს შეურიეთ და თბილ ადგილას 4 საათით დატოვეთ.
4. ცომი დაამრგვალეთ, ოდნავ გააბრტყელეთ და მისი შუაგული წრიული ფორმით ამოაჭერით.
5. ათქვიფეთ დარჩენილი კვერცხი და ცომს ზედაპირზე ფუნჯით გადაუსვით. გააფორმეთ ჩირითა და ნუშით, ღუმელი 200 გრადუსზე გააცხელეთ და მიქსი 45 წუთის განმავლობაში გამოაცხვეთ.
6. ნამცხვარი სპეციალურ ჭურჭელზე გადაიტანეთ, შუაგული თეთრი კრემით ამოავსეთ და სტუმრებს მიართვით.

RISALAMANDE – ბრინჯის დესერტი დანიურად

სახელწოდება Risalamande საფრანგეთიდან მოდის და აღნიშნავს დესერტს, რომელიც ბრინჯისა და ნუშისგან მზადდება. მიუხედავად ფრანგული სახელწოდებისა, იგი დანიური სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია. ბრინჯის პუდინგს ვანილით, ნუშითა და ტოპკრემით, უფრო ხშირად ალუბლის ცხელ სოუსთან ერთად მიირთმევენ. ეს ქმნილება პრინცების – ფელიქსისა და ნიკოლაის საყვარელი დესერტია.

რეცეპტი 4 ულუფა

ინგრედიენტები
- 225 გრამი თეთრი ბრინჯი (პუდინგისთვის გამოსადეგი)
- 100 მლ წყალი
- 1 ლ რძე
- 1-2 ც ვანილი
- 150 გრ ნუში (კანგაცლილი)
- 2 ს/კ შაქარი
- 500 გრ კრემი

მომზადების წესი

1. ბრინჯი წყალში 2 წუთის განმავლობაში ადუღეთ.
2. დაამატეთ რძე და ცოტა ხანს ადუღეთ.
3. მოაყარეთ ვანილი.
4. ბრინჯი ნელ ცეცხლზე 35 წუთით დატოვეთ და რეგულარულად მოურიეთ, რათა ჭურჭლის ძირმა არ მიიკრას. ამის შემდეგ პუდინგი გააგრილეთ.
5. დაჭერით ნუში და ბრინჯის პუდინგში აურიეთ.
6. ცალკე ჯამში მოამზადეთ ტოპკრემი. შემდეგ კი ნელ-ნელა შეურიეთ ბრინჯის პუდინგს.
7. მიართვით სტუმრებს და მათთან ერთად თქვენც ისიამოვნეთ.

რეკომენდაცია

ცივ Risalamande-ს ალუბლის თბილი სოუსი მოასხით. შეგიძლიათ დანიური „სადესერტო თამაშითაც“ გაერთოთ – დატოვეთ რომელიღაც ნუში ისე, რომ არ დაჭრათ და აურიეთ პუდინგში. ის, ვისაც მთლიანი ნუში შეხვდება, საახალწლო საჩუქარს მიიღებს.

ამ ჯადოსნური დესერტისთვის განსაკუთრებული მადლობა კიმ ნილსენს, რომლის ვებგვერდზე – Nordic Food & Living სკანდინავიური რეცეპტების საოცრად მრავალფეროვანი არჩევანია. ეწვიეთ მისამართს: www.nordicfoodliving.com.

წითელი კომბოსტოს სალათი

წითელი კომბოსტო ჩრდილოეთ ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას ხშირად შემწვარ ხორცთან ერთად მიირთმევენ. ფერადი სალათი განსაკუთრებულად უხდება საახალწლო სუფრას. კიმ ნილსენი თავის საუცხოო რეცეპტს გაგვიმხელს...

რეცეპტი 4-6 ულუფა

ინგრედიენტები
- 1/4 წითელი კომბოსტო
- 1 ც ბროწეული
- 1 ც ვაშლი
- 1 ც დიდი ზომის ფორთოხალი
- 50 გრ ნიგოზი
- 1 ს/კ თაფლი
- 2 ს/კ ბალზამიკოს ძმარი
- 3 ს/კ ზეითუნის ზეთი
- 1/4 ს/კ მარილი და პილპილი

მომზადების წესი

1. დაჭერით წითელი კომბოსტო.
2. ბროწეული დაარჩიეთ.
3. გაფცქვენით ფორთოხალი და დაჭერით ზომიერ ნაჭრებად.
4. კარგად გარეცხეთ ვაშლი და პატარა კუბებად დაჭერით.
5. ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ და სასალათე ჭურჭელში გადაიტანეთ.
6. მოამზადეთ სოუსი – ერთმანეთში აურიეთ თაფლი, ბალზამიკო, ზეითუნის ზეთი, მარილი და პილპილი. სოუსი სალათს მოასხით და გემრიელად მიირთვით.

შემწვარი იხვი ხილის შიგთავსით

სკანდინავიაში ინდაურის ხორცს ხშირად ცვლის იხვის ხორცი, რომელსაც განსაკუთრებულად უხდება სპეციალურად მომზადებული ხილის შიგთავსი. კიმ ნილსენი ამ უცნაური კერძის საიდუმლო რეცეპტს გაგვანდობს.

რეცეპტი 4-6 ულუფა

ინგრედიენტები
- 1 ც იხვი (მინიმუმ 3 კგ)
- 2 ც ვაშლი
- 1 ც ხახვი
- 15 ც ქლიავის ჩირი
- გამომშრალი დაფნა
- მარილი
- პილპილი
- 1 ლ წყალი

მომზადების წესი

1. გამოასუფთავეთ იხვის შიგთავსი და გამოსადეგი ხორცი დიდ საცხობ სინზე გადაიტანეთ.
2. იხვს თავსა და ბოლოში მოაჭერით მცირეოდენი ცხიმი და დიდ ტაფაზე ვაშლთან, ხახვსა და ქლიავის ჩირთან ერთად მოათავსეთ. დაამატეთ მარილი, პილპილი და გამომშრალი დაფნა. რამდენიმე წუთის განმავლობაში საშუალო ცეცხლზე შეწვით.
3. იხვს გარედანაც და შიგნიდანაც მარილი წაუსვით.
4. იხვის გამოთავისუფლებულ შიგთავსში კოვზით მოათავსეთ ვაშლის, ხახვისა და ქლიავის შემწვარი მიქსი. ცხიმი გარეთ დატოვეთ.
5. იხვის ფრთებს თავები მოაჭერით და მოჭრილი ნაწილი სინზე მოთავსებულ შიგნეულობას დაუმატეთ. დაასხით 1 ლ წყალი, რომელიც შემდეგ სოუსის მოსამზადებლადაც გამოგადგებათ.
6. იხვი ამოატრიალეთ და ღუმელში მოათავსეთ. მის ქვეშ კი ხორცით სავსე სინი მოათავსეთ.
7. გააცხელეთ ღუმელი 150 გრადუსზე და იხვი 3-4 საათის განმავლობაში გამოაცხვეთ. არ ჩართოთ ღუმელის ფენი – ხორცს ზედმეტად გამოაშრობს.
8. დაახლოებით საათნახევრის შემდეგ, იხვი გადმოაბრუნეთ და მარილი კიდევ ერთხელ მოაყარეთ.
9. ღუმელში გამოცხობამდე დატოვეთ.
10. თუ გსურთ, რომ ხორცი და იხვის კანი უფრო რბილი და წვნიანი იყოს, ღუმელი გრილის რეჟიმზე გადაიყვანეთ. მაქსიმალურად ეცადეთ, კანმა სასიამოვნო შეფერილობა მიიღოს.
11. უმჯობესი იქნება, თუ იხვს სუფრაზე ფორთოხლის სოუსთან ერთად გაიტანთ.

HALF HOUR...

რობი უილიამსი

მსოფლიო ვარსკვლავი, რომელმაც კარიერული წინსვლა ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში დაიწყო, პირველ ნაბიჯებზე, დაგეგმილ კონცერტებსა და საახალწლო გეგმებზე გვესაუბრება.

მას შემდეგ, რაც ცნობილ ბრიტანულ ბენდებს შეუერთდა და ბრწყინვალე მუსიკალური კარიერა აიწყო, უილიამსი ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მომღერლად იქცა. ამის დასტურია BRIT ICON MUSIC AWARD-იც, რომელმაც რობი საკულტო შემსრულებლად გამოაცხადა. უილიამსი ახალი საკონცერტო ტურისთვის ემზადება, რომელიც სტარტს 2017 წლის ივნისში აიღებს. შეგახსენებთ, რომ პოპვარსკვლავი ამერიკელ მსახიობსა და ქალთა უფლებების დამცველ აიდა ფილდზეა დაქორწინებული. მათ ორი შვილი ჰყავთ – ოთხი წლის თეოდორა და ორი წლის ჩარლტონი.

წელს როგორი ახალი წელი იგეგმება უილიამსების ოჯახში?

რ.უ. ძვირიანი! ადრე ეს პერიოდი დიდად არ მხიბლავდა, მაგრამ ახალი წელი ჩემი მეუღლის საყვარელი დღესასწაულია და ყოველ წელს უფრო და უფრო გრანდიოზულად აღვნიშნავთ. მგონი, ყველაზე დიდი ნაძვის ხეც ჩვენ გვაქვს და ყველაზე ციმციმა სახლიც. აიდა საჩუქრების შერჩევაში ნამდვილი პროფესიონალია – მოცვებს ხოლმე მისი საზრიანობა და რომანტიზმი. ერთხელ „ბარსელონას“ მაისური მაჩუქა, რომელსაც ეწერა: „რობის, სიყვარულით ლიონელ მესისგან“. ჩემს ცოლს შეუძლია შობა-ახალი წელი ყველაზე განსაკუთრებულ დღესასწაულად აქციოს.

გილოცავთ ბრიტანული მუსიკალური ჯილდოს მიღებას. როგორი გრძნობაა, როცა საკულტო შემსრულებელი ხარ?

რ.უ. როცა საკულტოს ამბობენ, ორი ლეგენდა – ელტონ ჯონი და დევიდ ბოუი მახსენდება. ეს ჯილდო ჩემთვის უზარმაზარი პატივია და მიხარია, რომ შევძელი და დავიმსახურე.

ოჯახის წევრებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?

რ.უ. დედაჩემი სიხარულისგან გადაირია, Selfridges-ში წავიდა და სადღესასწაულო სამოსი შეიძინა. დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი ჩემს მშობლიურ სტოკ-ონ-ტრენტშიც გაუხარდათ და შამპანურით აღნიშნეს.

რას ფიქრობს აიდა იმ სიმღერაზე, რომელიც პატარა ჩარლის მიუძღვენით?

რ.უ. მისამღერი – Your mother is a nutter, your mother is a nutter – ჩვენს „საშინაო ხუმრობებსა“ და იუმორს გამოხატავს. ამ სიმღერით ძალიან ისიამოვნა.

შინ როგორი ხართ ხოლმე?

რ.უ. შინ უმეტესად მშვიდი, წყნარი ადამიანი ვარ, ნორმალური ხასიათით. შოუბიზნესი ძალიან მიყვარს და მიმაჩნია, რომ სწორ ადგილას მოვხვდი, მაგრამ საქმე საქმეა და სახლი – სახლი.

თქვენს კონცერტებს ჩარლი და თედიც ესწრებიან ხოლმე?

რ.უ. თედიმ X Factor-ის შოუზე მომისმინა, ნიკოლ შერზინგერს შეხედა და ჰკითხა, რაღას უყურებო! საკონცერტო ტურზე ბავშვებიც გამომყვებიან და ეს ძალიან მიხარია.

რას გაგვიმხელთ ამ საკონცერტო ტურის შესახებ?

რ.უ. ეს ტური დიდი მოვლენა იქნება. მოწოდების ასეთ სიმაღლეზე მანამდე არასოდეს ვყოფილვარ. სხვა თუ არაფერი, არ მგონია ვინმეს ჩემნაირი ტემპერამენტი ჰქონდეს. არც ის მგონია, ვინმე ქალბატონებს ჩემნაირად სცემდეს პატივს და Let Me Entertain You-სა და Angels-ის სიმღერა ჩემნაირად შეეძლოს.

თქვენი საკონცერტო ტურნე მანჩესტერში მაშინ მთავრდება, როცა Take That-ის კონცერტები იწყება. ბენდის 25-ე იუბილესთვის მათთან დაბრუნებას ხომ არ გეგმავთ?

რ.უ. არ ვიცი. ამ მომენტში არ მგონია ასე მოხდეს, მაგრამ რაღაც ეტაპზე აუცილებლად გავერთიანდებით.

რობი უილიამსის ალბომის The Heavy Entertainment Show შეძენა უკვე შესაძლებელია. 2017 წლის საკონცერტო ტურნეს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ბილეთების დასაჯავშნად ეწვიეთ ვებგვერდს: robbiewilliams.com

ფოტოები: HANNA FILLINGHAM. **ფოტო**: GETTY IMAGES.

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი ნანკა კიკალია

საგარეო ურთიერთობების მენეჯერი Santiago Velo
რედაქცია ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, მეგი ჯაში
სტილის რედაქტორი ელენე მარგალიტაშვილი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
მოდის სტილისტი თეონა ელიზბარაშვილი
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
ფოტოგრაფი ბაჩი ტაბატაძე
მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ჯენი ძოძუაშვილი, ნანუკა კაკაბაძე
დიზაინერის ასისტენტი ნინი ოძელაშვილი

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO!
INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

დაბეჭდილია საბაჯანი "ომეგა თეგი" საპრინტეროში, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

რედაქციის მისამართი: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; **www.hellomagazine.ge**
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ **HELLO!**-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



www.facebook.com/loverdegeo

ვერტიკალური ბალი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO VERDE

CASCADE 360°
CONSTRUCTION

- **გარემონტებული ბინები 1 კვ.მ. 1000$**
- **1 წლიანი უპროცენტო შიდა განვადება 20 ან 30% პირველადი შენატანით**
- **ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ**

სრულიად განსხვავებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საუცხოო 360 გრადუსიანი ხედები.

მყუდრო, კომფორტული, დაცული ბინები 56კვ.მ-დან დასრულებული რემონტით, დახვეწილი დიზაინით.

25%-მდე ენერგოეფექტურობა, „პერლიტის“ ბლოკით ნაშენი დათბუნებული კედლები. უმაღლესი ხარისხის „შინდლერის“ ლიფტები.

ეკოლოგიურად სუფთა გარემო, 500კვ.-მდე გამწვანებული ეზო. სკვერი და სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის.

360
-5% საახალწლო ფასდაკლება
CASCADE

სახლი, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის!

+995 322 430 360
+995 551 702 702
info@cascadeconstruction.ge
CASCADE 360